ISSN 0132—5973

140
1986/2



# პიონერი

6
1986



# კატია ლიჩევა — სამშვიდობო ელჩი

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მსოფლიო შესძრა სამწუხარო ამბავმა — საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა ამერიკელი გოგონა სამანტა სმიტი, რომელმაც საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას ჩვენი ბავშვების (და არა მარტო ბავშვების) სიყვარული დაიმსახურა.

ამერიკულმა ორგანიზაციამ „ბავშვები, როგორც მშვიდობისმყოფელები" დააწესა სამანტა სმიტის სახელობის პრემია — ორკვირიანი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. პრემია განკუთვნილი იყო საბჭოთა გოგონასათვის, რომელიც უნდა შეერჩია საბჭოთა მხარეს ორი პირობის გათვალისწინებით: გოგონა უნდა ყოფილიყო ომის საწინააღმდეგო მოძრაობის აქტიური მონაწილე და არ უნდა ყოფილიყო სამანტაზე უფროსი.

ასეთი ბავშვი ჩვენს ქვეყანაში მილიონობითაა. არჩევანი შეჩერდა მოსკოვის მე-4 სკოლის მეხუთეკლასელ კატია ლიჩევაზე. და აი, 20 მარტს კატია ამერიკაში გაფრინდა, როგორც პატარა „მშვიდობის ელჩი".

— მოუყევი ამერიკელ თანატოლებს, — დააბარა მეგობარს მაქსიმმა, — როგორ ვრიცხავთ მშვიდობის საბჭოთა ფონდში თანხას, რომელსაც შრომითი დესანტის დღეებში გამოვიმუშავებთ ხოლმე.

— შეახსენე, — ჩაერია ლენა, — რომ საბჭოთა სახელმწიფოს პირველი დეკრეტი იყო ლენინური დეკრეტი მშვიდობის შესახებ.

მეგობრებმა კატიას თავიანთი ხელით გამოჭრილი ქაღალდის მტრედები გაატანეს. მტრედის ნახევარზე ეწერა კატიას მშობლიური სკოლის მისამართი. ეს ნახევრები ამერიკელმა გოგონებმა და ბიჭუნებმა დაიტოვეს. მეორე ნახევარზე ამერიკელმა ბავშვებმა თავიანთი მისამართები დაწერეს (ისინი კატიამ მოსკოვში ჩამოიტანა).

კატიას ყველგან გულთბილ შეხვედრას უწყობდნენ ამერიკელი თანატოლები, რომელთაც, აშშ-ს მთავრობისაგან განსხვავებით, არ სურთ ომი. „კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა!" „მშვიდობა!" „მეგობრობა!" — აი, რა ეწერა ტრანსპარანტებზე. ბავშვები ერთხმად მღეროდნენ კატიას მიერ წამოწყებულ სიმღერებს — „დაე, მუდამ იყოს მზე!", „კატიუშა", „პოლიუშკო-პოლე..."

— საბჭოთა ბავშვებს მშვიდობა გვსურს, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კატიამ. — ჩვენ გვინდა, რომ მშვიდობის საერთაშორისო წელი უსასრულოდ გაგრძელდეს, რომ შეწყდეს გამალებული შეიარაღება. გამოუშვით რაც შეიძლება მეტი სათამაშო, იმდენი, ყველა ბავშვს რომ გასწვდეს.

ნაირფეროვანი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდა სამშობლოში მოსკოველი „მშვიდობის ელჩი". სკოლაში მისვლისთანავე თანატოლების ალყაში მოექცა. უამრავი რამ საამბობი დაგროვებოდა აშშ-ში ორკვირიანი მოგზაურობის მანძილზე.

— ამერიკაში ჩემი ყოფნისას პენტაგონმა ნევადის შტატში ახალი ატომური აფეთქება განახორციელა, — თქვა, სხვათა შორის, კატიამ. — ამან ბევრი იქაური ადამიანი აღაშფოთა... მაგრამ ომის მომხრენი ვერ გაიმარჯვებენ... ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ამერიკელ მოსწავლეებთან შეხვედრამ მოახდინა. მათ, ისევე როგორც საბჭოთა ბავშვებს, სურთ, რომ დედამიწაზე მშვიდობა სუფევდეს.

ასეც იქნება! მშვიდობის საქმე უძლეველია, დედამიწაზე არ არსებობს მისი დამთრგუნავი ძალა!



შინაურულად გრძნობდა თავს კატია ლიჩევა გაკვეთილზე ჩიკაგოს სკოლაში.

18217

# ექსპედიციის მგზავრი



კიდევ ერთი გულთბილი შეხვედრის მოგონება — შეკრების მონაწილეთა სამახსოვრო სურათი.




თემურ ცაგარელი
ფოტო ავტორისა


1984-1986 წლებში მოეწყო პიონერ-მოსწავლეთა საკავშირო ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი ექსპედიცია „სსრკ ჩემი სამშობლოა“, რომელიც რიგით მეხუთე იყო. ამ ექსპედიციაში, სხვებთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის ასობით პიონერ-მოსწავლე ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. და აი, წლეულს, საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში, გამარჯვებული რაზმების წარმომადგენლები თბილისში შეიკრიბნენ და მოხსენებებითა და ანგარიშებით წარსდგნენ ერთიმეორის წინაშე.

ბევრ, ძალიან ბევრ აზმს თ...

ცალკეულ პიონერს აღმოაჩნდა საამაყო და თავმოსაწონი.

დევიზით „ლენინი მუდამ ჩვენთან არის“ მომუშავე სექციაში გაერთიანებული პიონერ-მოსწავლეები პიონერულ ლაშქრობებში, მოგზაურობებსა და ექსკურსიებში მონაწილეობისას სწავლობდნენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლების ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას. „დიადი მშენებლობის დღეების“ სექციის წევრები ეცნობოდნენ და გულდასმით სწავლობდნენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივთა შრომითი საქმიანობის მატიანეს, შრომითი მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ ადამიანთა ბიოგრაფიებს. „ბრძოლებში იცავდნენ თავიანთ სამშობლოს“, — ასე ერქვა სექციას, რომლის წევრი პიონერ-მოსწავლეები აგროვებდნენ და სწავლობდნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი თანამემამულეების საბრძოლო გმირობის ამსახველ მასალებს.

ასეთივე საინტერესო და მრავალფეროვანი მუშაობა მიმდინარეობდა სხვა სექციებშიაც — „ლენინის სახელი ჩვენს დროშაზე“, „ბუნების საიდუმლოსთან“, „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“... ყველაფერი ეს ნათლად და ხატოვნად აისახა სექციათა სხდომებზე წაკითხულ მოხსენებებში.

ყოველ მოხსენებას ცხადად ეტყობა, რომ მის ნორჩ ავტორს ძალა და ენერგია არ დაუზოგავს როგორც მასალათა თავმოყრისათვის, ისე მათი დამუშავებისთვისაც. ისიც აშკარაა, რომ მარტო პიონერები ასე კარგად ვერ გაართმევდნენ თავს ნაკისრ ვალდებულებას, უფროსი მეგობრების დახმარება და მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდათ.

კიდევ ერთი რამ ცხადად გამოჩნდა მოსწავლეთა ნამუშევრებში:


საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
6 ივნისი 1986



გულმოდგინედ ემზადებოდნენ შეკრებისათვის თბილისის მე-2 ექსპერიმენტული სკოლის საექსპედიციო რაზმ „იმედის“ წევრები — დავით ესაკია და დები ეკა და დეზი ქუთათელაძეები.

ბავშვებმა მაღალ დონეზე გაიარეს ტურისტული წვრთნა, ისწავლეს კლდეზე ცოცვა, ცურვა, ცხენზე ჯდომა, კარვის გაშლა, კოცონის დანთება, პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ამინდის გამოცნობა და კიდევ ბევრი სასარგებლო რამ.

პიონერ-მოსწავლეთა საკავშირო ტურისტულ - მხარეთმცოდნეობითი ექსპედიციის „სსრკ ჩემი სამშობლოა“ საუკეთესო რაზმების მუშაობის შემაჯამებელმა რესპუბლიკურმა შეკრებამ, რომელშიც 250-მდე პიონერ-მოსწავლე მონაწილეობდა, თვალნათლივ დაგვანახა საქართველოს პიონერიის მზარდი სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისაკენ, ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისაკენ, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მონაწილეობის, სოციალისტური სამშობლოს, მისი ბუნების, კულტურის თუ ხალხური შემოქმედების დაცვის, მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლებისაკენ...

შეკრების დასასრულს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საბრძოლო დიდების მუზეუმის სხდომათა დარბაზში გეგეჭკორის პიონერთა სახლის საექსპედიციო რაზმის უფროსმა, მეათეკლასელმა ეკა კვანტალიანმა დამსწრეთ გააცნო შეკრების მონაწილეთა მიმართვა საქართველოს პიონერ-მოსწავლეებისადმი. აი, ისიც:

„ჩვენ, პიონერ-მოსწავლეთა საკავშირო ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი ექსპედიციის „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა“ საუკეთესო საექსპედიციო რაზმების წარმომადგენლების რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი, საქართველოს ყველა პიონერსა და მოსწავლეს მოგიწოდებთ: ჩაებით ექსპედიციაში „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა“.

ექსპედიციის გზებზე ჩვენ ვნახავთ და შევიტყობთ, თუ როგორ ახორციელებს საბჭოთა ხალხი დიდი ლენინის უკვდავ ანდერძს, როგორ ქმნიან სოციალისტური სამშობლოს დოვლათს სოფლის მშრომელები; შევიტყობთ, საბჭოთა ადამიანები შრომითა და ბრძოლით, სიცოცხლის ფასად როგორ ამტკიცებდნენ თავიანთ ერთგულებას ლენინის სახელისადმი, კომუნიზმისადმი.

ჩვენ მშობლიური მიწა-წყლის ხვალინდელი პატრონები ვართ. ჩვენ უნდა მივიღოთ რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ესტაფეტა — გავუფრთხილდეთ სახალხო დოვლათს და განვამტკიცოთ სამშობლოს ძლიერება! გავიზარდოთ ჭეშმარიტ პატრიოტებად! წვლილი შევიტანოთ უფროსების შრომითს საქმეებში. ჩვენ დამუხტულნი უნდა ვიყოთ სამოქმედოდ და, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან მოგვიწოდეს, თავი გამოვავლინოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში — სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, ცოდნისა და კულტურის დაუფლებაში, პოლიტიკურ ცხოვრებასა და სამშობლოს დაცვაში.

გამოვიწრთოთ ფიზიკურად! შევიძინოთ სოციალისტური სამშობლოს დამცველებისათვის საჭირო ცოდნა და ჩვევები! აქტიური მონაწილეობა მივიღოთ მშვიდობისათვის ბრძოლაში! მუდამ მზად ვიყოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად!

ჩვენც



გავიმარჯვეთ!

# ცხენიდან ბინამდე



ანა იმედიძე
მხატვარი
ჯემალ ლოლუა
მოთხრობა

ამ რამდენიმე წლის წინათ ჟურნალ „პიონერში“ დაიბეჭდა პრემირებული მოთხრობა „ფერხული მზის სადიდებლად“, რომლის მთავარ გმირებს — მანანა აზიკურს და კახა ბარათაშვილს ბებია-პაპები მთიელები ჰყავთ და პირველად მოხვდებიან მთაში, კერძოდ — თუშეთში.

იქ მათ საინტერესო თავგადასავალი გადახდებათ.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ბავშვები სულ თავის ნებასურვილზე დადიოდნენ, მათ ყოველთვის დაჰყვებოდათ უფროსების მზვერავი, კეთილი თვალი. მოთხრობის ერთ-ერთი გმირი ამბობს: „გზვერავდით. ამ სიტყვას ცუდად ნუ გაიგებთ. მთას თავისი კანონები აქვს. აქ ყველა ერთმანეთს ვუთვალთვალებთ, რომ გაჭირვებაში დროზე მივეხმაროთ.“

ძვირფასო ბავშვებო, ახლა გთავაზობთ მოთხრობის შემდგომ ნაწილს, სადაც ჩვენი გმირები ეცნობიან მამა-პაპათა საქმიანობას, — ცხვარ-მეცხვარის ცხოვრებას. იცით, ცხვარმა რა თქვა? მაგრამ ჯობს, მოთხრობიდან გაიგოთ.

გისურვებთ, მანანა აზიკურსა და კახა ბარათაშვილთან ერთად გაიხაროთ სამშობლოს ლამაზი და ზვიადი მთიანეთით.

**1. ხუთნი სამ ცხენზე. ტყვიადახლილი მგლების წინამძღოლი. გეოლოგის მილიონა. დათვი და ბელები ხვაფას შეექცევიან. გოგონა სამი კავკასიური ნაგაზით.**

შეუღამფრენი თვალს მიეფარა, გრძლად გაწოლილი ხეობის თავზე ლაჟვარდს შეერია. აღმოსავლეთისაკენ მთის მწვერვალებზე ზეცა შევარდისფერდა. აქა-იქ ხევებში ნისლები კიდევ მიზოზინებდნენ. ზვავჩაწოლილი ფერდობის მხრიდან სიომ სალამურის ხმა მოიყოლა.

მანანამ გამოსამშვიდობებლად მაღლა აწეული მარჯვენა ჩაიქნია, მათრახმა გაიწივლა, არც ახსოვდა, ხელში რომ ეჭირა.

— „წასვლა სჯობს წამავალისა...“ — ჩაიღიღინა ირაკლიმ და კახასაკენ შებრუნდა, მთებს მიჩერებულ ძმობილს ხელი გადახვია.

— რა ლამაზია აქაურობა! — შეხედა კახამ. — მართლა სულ სიმღერა გინდა... და რა გულდასაწყვეტია, ხალხი რომ აღარ სახლობს... ნადირის სათარეშო გამხდარა ყველაფერი.

გიგი ჯაბოხანეს გაეთამაშა, გაირბინ-გამოირბინეს, ქუდს გადააგდებდა და, მომიტანეო, ეხვეწებოდა, რაც ბომბორას ძალიან არ მოსწონდა, რის ვაი-ვაგლახით ასრულებდა თხოვნას.

— რა ძაღლია, პატრონის მეტს ყველას გვეურჩება! — ჩაილაპარაკა გიგიმ.

— ეგაა მაგის ღირსება, გიგი, — თქვა მანანამ.

— აბა, მხედრებო, ცხენებზე! — დაიძახა კოსტა ანთაიძემ და თავის ცხენს მოსართავები მოუჭირა.

ბავშვები დაფაცურდნენ. გიგი მობალახე ცხენებისაკენ გავარდა, პალოებს ქვა აქეთ-იქიდან შემოჰკრა, მოაფამფალა და საბლიანად მიწიდან ამოაძრო. ცხენები მწყემსის ქოხთან მიიყვანა, საბლებს პალოები მოაცილა და შორს მოისროლა. ცხენებს ძუები გამოუნასკვა, თავისას ფაფარზე ორი ნაწნავიც ჩამოუწნა.

ბიჭებს მოსართავ-უნაგირები უკვე გარეთ გამოეტანათ, სიპებიდან საფენები ჩამოეხსნათ. კახა საძილე ტომარას კრავდა, ირაკლი ნაბადს კეცავდა, მანანა კი ხურჯინთან ჩაცუცქულიყო.

კოსტა, ვითომც ვერ ამჩნევდა ბავშვების ფუსფუსს, არ ერეოდა მათ საქმიანობაში. მიეჩვიონ დამოუკიდებლობასო, გაიფიქრა და ისევ ლოდზე ჩამოჯდა. პაპიროსს ეწეოდა, მისი სადავემიშვებული მუქბეწვა ცხენი ნამშეუმშრალ ბალახს შეექცეოდა, ერთი-ორჯერ თავი ასწია და ზეცას შესჭიხვინა.

— რა მოგივიდა? — შეეხმიანა კოსტა ცხენს, — მოჭრილი მოსართავები არ მოგწონს? მალე დავიძვრებით ადგილიდან.

— კოსტა ძია, თქვენს ბინასთან დეკა თუ ყვავის სადმე? — იკითხა მანანამ, რომელიც თვალს ვერ სწყვეტდა თეთრი ყვავილებით მორთულ შავი ფიქალის კედლებს.

— მოიძებნება! — დაანუგეშა კოსტამ. მერე გოჯზე დაყვანილი პაპიროსი იქვე ლოდზე ჩააქრო, გზა მშვიდობისაო! — დაიძახა და ცხენს ზედ მოევლო.

კახამ გაიფიქრა, რა მოხდენილად და მსუბუქად შეჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



და ეს ტანსრული კაციო. მარგალიტი ბერდედა როგორ-ლა იტყოდა? ჰო, ლაზათიანადო! ყველა საქმეს, მოქმედებას შნო და ლაზათი უნდა დაადევნოო.

— ერთ ცხენს ქალს ვუთმობთ, ორზე ოთხი ვაჟკაცი ვსხდებით, მე რომელი დამემგზავრებით?—იკითხა კოსტამ.

მანანა უკვე გიგის ქლალ ცხენზე იჯდა, აჩაჩულ ტანსაცმელს ისწორებდა.

— სველ-ხმელა ააგდეთ! — დაიძახა მანანამ, რაკი ბიჭები ჭოჭმანობდნენ. წილყრით მთიელი ბავშვების დაშოშმინება ძალიან მოსწონდა. — მოგეხმარებით. გიგი, აი, ეგ ბრტყელი ქვა მომაწოდე! — ქვა ზემოდან მშრალი იყო. — ეს ხმელი! — გადმოაბრუნა, ქვემოდან ნესტიანი იყო. — ეს კი სველი! — მანანამ ქვა ასაგდებად შემართა. — აბა, გელოდებით!

ბიჭებიც აჰყვნენ.

— სველი!

— ხმელი!

მანანამ ქვა ააგდო, დავარდნილს დახედა.

— ხმელი ვისია?

ხმელი არჩევანი კახასი აღმოჩნდა. მან ფეხზე ქალამნის თასმა ჩაიმაგრა და ყორანას აღვირს დასწვდა.

მანანას სველ-ხმელამ ახლა ირაკლი გამოიყვანა გამარჯვებული.

— ბედი არ გინდა?! — წამოიძახა გიგიმ და, მეტი რა ჩარა იყო, ცხენის გავაზე შემოუჯდა კოსტას.

ირაკლი ყორანასკენ წავიდა.

— რაღას უცდი? — შეეკითხა კახას, რომელიც გაუნძრევლად იდგა.

— მე შემოგიჯდები, — უთხრა კახამ და აღვირი მიაწოდა, — ცხენი შენია. ამ ოღრო-ჩოღრო გზებზე მაგისი ზნე შენ უფრო იცი.

ირაკლი უარობდა, წინ დაჯექი, ყორანას შენც უკვე კარგად იცნობო.

ამაზეც ხომ არ ვვევდო სველ-ხმელაო, შესთავაზა მანანამ. ბიჭებმა გაიცინეს და ისინიც ამხედრდნენ.

კოსტა წინ მიუძღოდა ბავშვებს.

კახა თოვლიან მწვერვალს გასცქეროდა.

ყორანა ბილიკზე ამოშვერილი ლოდის წინ როგორღაც შეფერხდა, შემდეგ კი უცბადვე გადახტა. კახამ ცხვირი ირაკლის ბეჭს ჩამოჰკრა. მაშინვე ცხვირსახოცი მიიდო ნესტოებზე, სისხლი წამომივაო, თანაც, თუ არ ჩამოვედი ცხენიდან და თავი არ გადავკიდე, რა შეაჩერებსო, გაიფიქრა.

ცხვირსახოცს დახედა, გაკვირვებულმა ისევ მოისვა. არაფერია! ახლაღა დაფიქრდა. რაც მთაში ამოვიდა, სულ რამდენჯერმე წასკდა სისხლი, ისიც პირველ დღეებში, თანაც ცოტა. ბარში კი წკიპურტიც რომ მოხვედროდა ცხვირზე, ცოტა მომეტებულად დაღლილიყო, ან დასცხომოდა, მაშინვე წამოუვიდოდა სისხლი. ჯიბეები სულ ცხვირსახოცებით ჰქონდა გამოტენილი, ბალიშის ქვეშაც მუდამ ედო, არც ძილში იყო დაზღვეული. კონტრასტულად განსხვავებული ჰაერი თუ უშველისო, უთხრეს დედას. ზღვამ ვერაფერი მოუტანა, აქ კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად გამიშვი ხელი? — შეეკითხა ირაკლი, — არ გადავარდე!

— მეგონა, სისხლი წამსკდებოდა.

— რამდენი ხანია, აღარ წაგსკდომია.

— ახლა სწორედ მაგაზე ვფიქრობდი.

ცხენი ისევ შეფერხდა.

— გაწრთობთ, ძალას და ენერგიას გმატებთ, ძმაო! — დაიქადნა ირაკლიმ და ცხენს დაუტატანა, — აბა, ჰე, ყორან! რას ფორხილობ, არ შემარცხვინო!

მართლაც, — ფიქრობდა კახა, — მთა გვამაგრებს, გვაკაჟებს ფიზიკურადაც და სულიერადაც, დამოუკიდებლობის უნარსაც გვილვივებს და გვიმტკიცებს, მოხერხებულობისა და საზრიანობის გამოჩენის მრავალგვარ საშუალებასაც გვაძლევს.

— მუხლებიც გამიმაგრდა.

— შენ, გეტყობა, მომეტებულად გიფრთხილდებოდნენ, ცივ ნიავს არ გაკარებდნენ... — შებედა ირაკლიმ.

— პიონერთა ბანაკშიც გასულ წელსღა გამიშვეს... იცი?... დედაჩემი კინაღამ ჩემს მშობიარობას გადაჰყვა... — ხმა შეეცვალა კახას. — უშლიდნენ შვილის გაჩენას, ვერ გადაიტანო, და მაინც გამაჩინა...

ირაკლის უნდოდა რაღაც თბილი სიტყვები ეთქვა დედებზე, მაგრამ ისევ გაჩუმება არჩია, არ ატიროსო. ცალი ხელი გაითავისუფლა, უკუღმა გადაყო და კახას მხარზე მოუთათუნა.

გავაკებული ადგილის ბოლოს ხევი უხვევდა. ხევის თავში აწოწილი მთა ჩამდგარიყო, გადასახედს კეტავდა.

— რა უნდა გაჩვენოთ?! — თქვა კოსტამ და ცხენს ბილიკიდან გადაახვევინა. მანანა და ბიჭებიც მიჰყვნენ.

— ეს რაა?! — წამოიძახა მანანამ.

კლდის ძირში მგელი ეგდო, ცალი ყური გაგლეჯილი ჰქონდა. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— არაა დიდი ხნის მკვდარი... — ჩაილაპარაკა გიგიმ. — ეტყობა, გუშინდელია, აი, თოფის ხმა რომ გვესმოდა... — მანანასაკენ მიბრუნდა.

— მართლაც გუშინდელია, — თქვა კოსტამ და ცხენი გამოატრიალა, — თანაც უბრალო არ გეგონოთ, ხროვის ბელადია! მაგ ყურგახვრეტილის ჯინი კარგახანია მჭირდა, რამდენჯერმე დაგვისხლტა ხელიდან. თქვენმა აქ გამოჩენამ დააჩქარა ჩვენი საბედისწერო შეხვედრა.

— ვითომ რამეს გვიზამდა?.. — იკითხა მანანამ და ქურთუკის ღილები შეიხსნა, — დათბა უკვე...

— სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ნათქვამია...

— ჩვენ თუ არაფერს დაგვიშავებდა, დაბმული ცხენებისთვის მაინც იქნებოდა საშიში. — ირაკლიმ ყორანას ფაფარზე ხელი გადაუსვა.

— ახლა იმ ხროვაში რა ამბავი ექნებათ წინამძღოლის არჩევაზე, — გაეცინა კახას.

— იმარჯვებს ძლიერი, კახაბერ! ეს მარტო ჯუნგლების კანონი არაა! — თქვა მანანამ.

ხევი გადაიარეს. ახლა ციცაბო აღმართს უნდა შედგომოდნენ. კოსტა ჩამოხტა, ბავშვების ორივე ცხენ მოსართავები მოუსინჯა, საიმედოდ თუა მოჭერილიო. მანანასთვის უზანგებს თასმები დაუმოკლა, ისე ფეხს ვერ აწვდენდა. მერე კახას ფეხებს ჰკიდა თვალი.

— ეს მამაპაპური ფეხსაცმელი სად იშოვეთ? — იკითხა კახას ქალამნებზე.

— დართლოში. მეტი რა გზა ჰქონდა, ჩაიცვა, მაგისი ცალი გეტი ქვა-ღორღის ნაშალმა უფსკრულში გადაუძახა, — მიაწოდა ცნობა მანანამ.

გიგიმ ცხენი გოგონასთან მიაჭენა.

— გაიხედე, რამხელა მილიონაა.

— რა?!. — ვერ გაიგო მანანამ.

— მი-ლი-ო-ნ-ა! — დაუმარცვლა გიგიმ.

კახამ ყურადღება დაძაბა, მდინარის ღრიალი ხელს უშლიდა, ჭალა ადგილებში ბავშვების ლაპარაკს ახშობდა.

— მანდ რამდენიმე წლის წინ ერთი გეოლოგი მივაბარეთ მიწას. ამ აწოწილი მთის გადაღმიდან გადმოვასვენეთ, იქით სულ დაკარგული ადგილებია... ეგ მაღალი ქვის ყორე, მილიონას რომ ვეძახით, ჩვენ, მეცხვარეებმა დავადგით, — კოსტამ ქუდი მოიხადა.

— საინტერესოა, ეგ სახელწოდება საიდან მოდის? აქ, მთაში, სადაც ამ სიდიდით ჯერ არაფერი აღურიცხავთ, არაფერი გაუზომ-აუწონიათ, საიდან გაჩნდა?.. — გაუკვირდა კახას.

— ნუთუ ქვათა წყობის სიმრავლეზე მიგვანიშნებს?! — წამოიძახა მანანამ.

— რა მოგახსენოთ! ყველა ღირსშესანიშნავ ადგილზე ჩვენ სულ მილიონებს ვდგამთ, — თქვა კოსტამ და აღმართს შეუდგა. — ჩემი შავრა შენთვის დამითმია! — გასძახა გიგის.

— აკი, ბედი არა მაქვსო?! — გადაულაპარაკა მანანამ. გიგი უნაგირზე გადაჯდა.

ძალიან ციცაბო აღმართი იყო, დამღლელი. ცხენებმა ფრუტუნს უმატეს, წამდაუწუმ ჩერდებოდნენ.

ერთ-ერთი შესვენების დროს კოსტამ დურბინდი მოიმარჯვა და გადაღმა ჭალაში დაიწყო ყურება.

ნეტავი, რას ათვალიერებსო, გაიფიქრა მანანამ და ხურჯინში ხელი ჩაყო, დურბინდი ამოიღო.

კოსტას გოგონას მოძრაობა არ გამოჰპარვია.

— ცხენი აქეთ წამოიყვანე, მანდიდან ვერ დაინახავ!

— აჩუ! აჩუ! — აღვირი გვერდზე გაქაჩა მანანამ და კოსტასთან მივიდა, თვითონაც დურბინდი შემართა. — ვაი, ბელები! დედა დათვიც! რა კარგები არიან?! — წამოიძახა თოფ-ხანჯალში ჩამჯდარი კოსტას სიახლოვით გამაგრებულმა მანანამ. — დათვი ხვაფას შეექცევა, ბელები კოტრიალობენ!

ახლა ბიჭებიც დაინტერესდნენ. უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა მურა დათვი წუვილი ბელით.

— იცნობდეთ ჩვენს გაღმელ მეზობლებს! — თქვა კოსტამ.

— ბინა უკვე ახლოსაა! — გადაულაპარაკა გიგიმ მანანას.

— რა იცი? — ვერ მიხვდა მანანა.

— ხომ გაიგონე. ჩვენი გაღმელი მეზობლებიო...

— აა...

კოსტამ გრძლად დაუსტვინა, ყურდაცქვეტილმა ცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებმა გზა განაგრძეს.

— ამ ადგილებში, რაც ჩვენ გამოვიარეთ, სამი ცხვრის ბინაა.

— კოსტა ძია, მართალია, რომ ამბობენ, დათვი ცხვრის ფარაში თუ შევარდა, მხოლოდ ერთს დაითრევს, მგელი კი ბევრს გააფუჭებსო? — იკითხა კახამ.

— მართალია. მგელი, რამდენზედაც მიუწვდება კბილი, იმდენს გამოღადრავს ყელს.

— მაინც რამდენს?

— ათს, ოცს, ორმოცდაათს, ასსაც და მეტსაც. მგელი ცხვრის დაუძინებელი მტერია. რაც გააძლობს, მარტო იმას რომ იტაცებდეს, დათვივით, რაღა გვიჭირდა? — კოსტამ ისევ შეუძახა ცხენებს.

მაღალ მთას შუაწელზე ჰკვეთდა ბილიკი.

გიგი მღეროდა. როცა ახლოს მდინარე არ ხმაურობდა, მანანას სიტყვებიც ესმოდა: „მთაში წასულო მეცხვარევ, აღარ გიმღერის გულია? მაშ დავიჯერო, არ იცი დარდი ან სიყვარულია?"

ჯაბო დროდადრო წამოიყეფებდა.

— დაიღალე, ჯაბო? ცოტაც და, მივალთ, ბინა ახლოსააო, ამბობენ. — უთხრა მანანამ და რაკი ცხენი შედგა, დურბინდი მოიმარჯვა. — ეს ჩანჩქერი როგორ ვერცხლის ელვარე სირმასავით ჩასწვნია ამ მწვანიან ფერდობს!

მანანას ჩაეღიმა, რა ხატოვანი ნათქვამი გამომივიდაო.

„და, საერთოდ, რა ხდება ჩემს თავს? არ ვიცი, არ ვიცი! მთავარია, ყველაფერი მიხარია, ყველაფერი მიყვარს, ეს ბუმბერაზი მთებიც, ეს ველური ბუბუნა-ყვავილებიც, ველური უძახე შენ! რა მშვენიერებაა! ეს ჩაჩეხილი ზვავებიც, ეს ალპური საძოვრებიც თავისი ფარებით, ეს მათრახიც კი"...

— ავ-ავ-ავო, — ჩაიწკმუტუნა ჯაბომ, თითქოს კვერი დაუკრაო, და მიჩუმდა, მაგრამ მაშინვე თავი აიღო და კუდი აბზიკა, — საიდანღაც ძაღლების ღავღავი შემოესმა და გავარდნა დააპირა.

— ადგილზე! ფეხი არ მოიცვალო! — დაუტია ირაკლიმ.

რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ახლა სხვა ხევის გადასახედთან აღმოჩნდნენ, უსწორმასწორო კალაპოტში მიედინებოდა აქაფებული ალაზანი. შუა ბილიკზე ფარის ვეება ძაღლი ჩაცუცქულიყო, ცოტა მოშორებით კიდევ ორი ბომბორა იღრინებოდა.

— შოშმან! რა მოხდა? მტერ-მოყვარე ველარ გაგირჩევიათ? — დაიძახა კოსტამ და მგზავრებს ისევ თავში მოექცა. — ბინისაკენ სამივე! — მათრახი გაატლაშუნა.

ძაღლები გაბრუნდნენ. ხვაფას ბუჩქებიდან გოგონა გამოვიდა.

— მამა, მეც აქა ვარ!

— ასმათ, შენთან სტუმრები მომყავს! ჩაიბარე! შენ იცი და შენმა მასპინძლობამ! — კოსტამ მანანას ცხენი ალვირით დაიკავა.

— სტუმარი ღვთისაა! — ძირი მთიელივით შეეგება ასმათი.

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი! — არც მანანამ დაიხია საკადრის პასუხზე უკან და ცქვიტად ჩამოხდა.

— მობრძანდით! — ასმათმა ახლა ჩამოქვეითებულ ბიჭებს გადახედა.

ბიჭები მიესალმნენ.

ჯაბო წინ წასულ ძაღლებს უნდოდ გახედავდა ხოლმე, ირაკლის საყელურით ეჭირა.

კახა კავკასიური ჯიშის ნაგაზებს აკვირდებოდა, გონების თვალით თავის დღიურში რაღაცას ინიშნავდა.

II. **ცხვრის ბინაში. ეს რამდენი მუშახელი შემოგვმატებიაო, გაუხარდა იასონს. ბავშვები ეხმარებიან მეცხვარეს. თოკის გრეხა.**

ჯერ გრძელი საჩეხი გამოჩნდა, ზემოდან გადახურული, სამი მხრიდან ფიცრებით შემორაგული, შემდეგ კარავი, და ბოლოს მთაში ღრმად შეჭრილი რაღაც ხუხულა შენობა, რომელიც გამოქვაბულის შესასვლელი აღმოჩნდა, ორივე მხრიდან ფიქალის ყორეებამოყვანილი. საჩეხის უკან ერთმანეთს მიკრული დიდი და მომცრო ფარეხები მოჩანდა.

ამ პატარა დასახლების წინ დეკიანი ფერდობი შეფენილიყო აქა-იქ შემორჩენილი თეთრი ყვავილებით.

— აქ რაღაც ზღაპრულს ვამჩნევ! — გაიხარა მანანამ.

ცხენები ალკაზმულობისაგან გაანთავისუფლეს, ქვამარილი აალოკინეს. კოსტამ თქვა, ახლა მე მივხედავო, და საბალახოსაკენ გაირეკა.

— ასმათ! — გვირაბიდან ქალმა გამოიხედა, — სადილი მზადა მაქვს, მოიპატიჟე სტუმრები!

კახა უკვე ხელ-პირს იბანდა იქვე მოჩუხჩუხე წყაროზე.

გვირაბისაკენ მიმავალ გიგის ირაკლი წინ გადაუდგა, წყაროსაკენ შემოაბრუნა.

ასმათს პირსახოცი მხარზე გადაეგდო, ხელში სასაპნე ეჭირა.

სადილის შემდეგ ასმათის დედამ ბავშვებს თავი და ხელ-ფეხი დაბანინა, გამონაცვალი ტანსაცმელი გაურეცხა, თუმცა მანანა ძალიან უარობდა, მე გავირეცხავო. გოგონა დააშოშმინეს, სამი დღეა, გზაში ხარ, ახლა დაისვენე, შემდეგ კი თქვენ თვითონ მიხედეთ თავსაო.

დაბანილი, დასუფთავებული ბიჭები წყაროსთან მიყრილ ქვებზე ჩამოსხდნენ და კავკასიურ ნაგაზებზე ალაპარაკდნენ. გოგონები დეკიან ფერდობს შეეკიდნენ, მანანას ერთი სული ჰქონდა, აყვავებული დეკა ადგილზე ენახა.

— ასმათ, დარწმუნებული ვარ, დედას ყველაფერში ეხმარები, მაგრამ შენთვის რას აკეთებ, როცა თავისუფალი დრო გამოგიჩნდება? — დაინტერესდა მანანა.

— ვქსოვ.

— ოჰ, ეს ქსოვა!..

— ქსოვა უნდა ვიცოდეთ.

— ვსწავლობ, ჯერჯერობით ძალიან ნელა ვქსოვ... — დაიჩივლა მანანამ.

— ქალი ქმარ-შვილს, ოჯახის წევრებს წინდებს, ჯემპრებს თუ ვერ მოუქსოვს, ის რა ქალია?!

— როგორმე თქვენსავით უნდა დავეუფლო ჩხირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, მთაში მივხვდი, რა აუცილებელი ყოფილა ქსოვა.

— შენ მონდომება თქვი! რაკი სურვილი გაქვს, ყველაფერს შესძლებ, — ანუგეშა ასმათმა.

კოსტა დაბრუნებულიყო, ფარეხის წნულს ამოწმებდა, ასწორებდა, სარებს ამაგრებდა, ხის ტოტებს სხეპდა და ალაგ-ალაგ ამატებდა. მალე ისევ სადღაც გაუჩინარდა.

მზისგულზე გასაშრობად გაფენილი ნაბდები ეკიდა. ბავშვების დანესტილი ტანსაცმელი და საძილე ტომარაც წნულზე გადაკიდეს.

ჯაბო ბინის ძაღლებს უკვე აღარ უღრენდა, მათ გვერდით მიირთვა დიასახლისის მიტანილი სალაფავი. თავიდან ცოტა გაჯიუტდა, მაგრამ ირაკლიმ იმდენი უჩიჩინა, გაბედინა მისვლა. ასმათი კიდევ მასპინძელ ბომბორებს ხან ტუქსავდა, ხან ეფერებოდა და, როგორც იქნა, ისინიც ჩააჩუმა.

ირაკლი ლოდზე ზურგმიყრდნობილი იჯდა, მუხლებზე უზარმაზარი სიპი აეყუდებინა და დანის წვერით ხაზებს ავლებდა, კახასაც დანა ეჭირა, ჯოხს აჭრელებდა, გიგის ხელში ხანჯალი ელავდა, ჩასასობად სამიზნე ხეს არჩევდა.

— ამდენი ცივი იარაღი გაგონილა?! — თქვა მანანამ. ჯერ ირაკლისთან მივიდა, — შენ რა, ამირანის მეტს არაფერს ხატავ? — შემდეგ კახას მიუბრუნდა.

— ოჰოჰო, კახაბერ! ტყისმჭრელებთან მისვლა მარტო ამის სასწავლად ღირდა, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, არა? ასმათ, ფეხნატკენმა ტყისმჭრელმა გვაჩუქა ასეთი დაჭრელებული ხელჯოხი. კარგი კეტი გამოვა!

ბიჭებს გაეღიმათ. ასმათი შემობრუნდა, რა კეტზეა ლაპარაკიო.

— ამას მეცხვარის კომბალი ჰქვია, — შეუსწორა ასმათმა, — გოგონებმა უკვე მოასწრეს დამეგობრება, — ხედავ, თავიცა აქვს.

— კომბალი იყოს, მოხდენილობა ყველაფერს შვენის! კომბლით, თურმე, ნადირსაც კი იგერიებენ!.. — უცბად რაღაც მოიფიქრა. — გიგი! გიგი!... — თხოვნა და მუდარა გამოსჭვიოდა ხმაში. —გეხვეწები, რა!



გიგი უთქმელად მიუხვდა, რაც უნდოდა გოგონას, ხანჯალი გაამშრალა და ქარქაშში ჩააგო.

— იარაღი არასოდეს მომთხოვო! — ესლა უთხრა.

— შენ თოფიც არ გამასროლინე! ტირი, იცი, რა არის? — შემობრუნდა მანანა, — ჩავალ თბილისში და ყოველდღე ტირში ვივლი, იქ მასწავლიან სროლას. გაისად ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

— ჰეჰეჰეი! — მოისმა ამ დროს დეკიანი ფერდობიდან.

ზემოდან ვიღაც ეშვებოდა.

— ძია იასონი მოდის, ფარაში მამაჩემი დარჩებოდა, — თქვა ასმათმა.

— ბარაქალა ჩვენს საქმეს, ეს რამდენი მეცხვარე შემოგვმატებია! — იასონმა კომბალი მიაგდო, ბოხოხა ქუდი მოიშვლიპა, შუბლზე ოფლი შეიმშრალა და ისევ დაიხურა. სულის მოთქმა არ აცალა გაოცებულ ბავშვებს. — თქვენ, ბიძიებო, დროის ფასი და შრომის ყადრი თუ იცით?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, მიუხვდნენ მოხუცს.

ირაკლიმ სიპი მიაყუდა. კახამაც დანა დაკეცა, ჯოხის გაჭრელება-გალამაზებას თავი მიანება.

— ჩვენ მზადა ვართ, გვიმსახურეთ! — თქვა გიგიმ, როცა მეგობრებიც მხარში ამოუდგნენ.

— გოგოები რითა ვართ ნაკლები? დაიძახა მანანამ და ბიჭებს ამოუდგა.

— ყოჩაღი გოგონა ჩანხარ! — მოეფერა იასონი. — ასმათ, ნუ გერიდება, აბა, შენც!

ყველანი ჩარდახისაკენ გაეშურნენ.

— აქ მთელი საწყობი გქონიათ! — შესვლისთანავე წამოიძახა მანანამ ყველის გუდებისა და მატყლის ბარდანების დანახვაზე. — ესეც ჩვენი თუშური ცხვრის სიკეთე!

— ცხვარი ერის ხვავი და ბარაქაა, შვილებო! რაც მართალია, მართალი, დიდი გარჯა და ჯაფა კი უნდა. თუშებში სიღარიბე სათაკილოდაც კი ითვლება, იცით, რატომ? ვინც ღარიბია, ეს იმას ნიშნავს, რომ ზანტია, ზარმაცია, უქნარაა, შრომა ეზარება, ცხვარს ვერ უვლის, ვერ ამრავლებს. როგორ და რით დაჯაბნა ცხვარმა სიღარიბე, იცით? — იასონმა გოგო-ბიჭებს გადახედა. — ზოგმა იცით, ზოგმა — არა, გიამბობთ! ცხვარი ღარიბის ქოხში შევიდა. ქოხის ოთხივე კუთხეში დაძონძილ-დაკონკილი სიღარიბე დაშლიგინებდა. აბა, ახლავე ეგ ერთი კუთხე გამითავისუფლეო, უთხრა ცხვარმა და მატყლის დაყრა დაიწყო. მეტი რა გზა იყო, მთელი კუთხე მატყლის ზვინმა დაიკავა და სიღარიბემ უკან დაიხია. ცხვარი მეორე კუთხეშიც მიადგა, დამიცალე, ეს ადგილი შვილებისთვის მინდაო და ქათქათა ტყუპი კრავი გააჩინა. მესამე კუთხეც მჭირდებაო, უჯიკავა სიღარიბეს და მთელ კუთხეში ყველის კვერები დაახვავა. აბა, ახლა კი აქედანაც მოუსვიო, უთხრა, აქ, ამ კუთხეში ჩემი სადგომი იქნებაო და სიღარიბეს გარეთ გაუძახა. მა-შა!

— ჩვენებს მხოლოდ შვიდი ცხვარიღა ჰყავთ, — დაიჩივლა მანანამ.

— იმათ იკითხონ, ვისაც თითო სულიც აღარ აბადია, — ანუგეშა იასონმა. — თქვენმა მშობლებმა თუ გაწყვიტეს, თქვენ იყოჩაღეთ, მოამრავლეთ, თქვენია ეს საძოვრები, უბატონოდ ხმას ვინ გაგცემთ! — იასონმა თავისი სიტყვა ლექსით ჩაათავა:

„თუშთ არ იციან ოდითგან, რა არის მონა, ბატონი,
თვითონ არიან თავისი ადგილ-მამულის პატრონი".

ბიჭები და იასონი დაწყვილდნენ და გრძლად ჩამწკრივებულ ყველის გუდების ორივე რიგს თავიდან დაჰყვნენ, აბრუნებდნენ მეორე გვერდზე, რომ წაკა — მარილწყალი ახლა ამ მხრიდან გასჯდომოდა ყველს, თან ფრთხილობდნენ, გაუმაგრებელი კვერები არ დავაზიანოთო.

ასმათმა და მანანამ წყალი მოიტანეს.

რომელ გუდასაც შეატყობდნენ, რომ წაკა ნაკლები ჰქონდა, იასონი მოსაჭერს ხსნიდა, მჯიღით დურკიდან ხვრიშ მარილს იღებდა, გუდაში ყრიდა, თან წყალს ამატებდა. ერთი-ორი გუდიდან, რომლებიდანაც წაკა ჟონავდა, ყველის კვერები სხვებში გადააწყვეს. სანამ ჩააწყობდნენ, იასონი ჯერ კარგად გაბერავდა გუდას, მერე გულდაგულ ამოწმებდა, ჰაერი ხომ არსაიდან იპარებაო, გაბერილს ყურთან ატრიალებდა, მუხლს აჭერდა, ცოტა ზედმეტ დატვირთვასაც უნდა გაუძლოსო.

ეს საქმე რომ მოათავეს, არ იფიქროთ, იასონმა ბიჭები გაანთავისუფლა. ცხვრის ბინაში სამუშაოს რა გამოლევს?!

— ვაჟკაცებო, ახლა კი საბელი დამაგრეხინეთ!

გამოიტანა თხის ხეტი მატყლი, საგრეხი ჯარა და მოზრდილ ქვაზე მოიკალათა.

— შენიდან დავიწყოთ, რატომღაც მგონია, საბლის გრეხა შენთვის უცხო ხილი არ უნდა იყოს! — უთხრა გიგის.

გიგიმ ხელის ჯარა კისერზე ჩამოიკიდა.

— დავიწყოთ!

იასონმა ჯერ ცოტა მატყლი გადაგრიხა და ჯარაში ჩაამაგრა, შემდეგ ნელ-ნელა და ზომიერ ბლუჯებად უშვებდა თითებიდან, გიგი კი ჯარას ატრიალებდა ხელისგულებით და თანდათან, დაგრეხილი რომ გრძელდებოდა, უკან-უკან იხევდა. მანანა აფრთხილებდა, აქ ქვას არ წამოედო, აქ ჩაღრმავებულს მოერიდეო.

გიგი კახამ შეცვალა, ისე კი გამოუტყდა იასონს, ჯარას ხელს პირველად ვკიდებო. კახა უფრო მალე გაანთავისუფლეს, ხელისგულები სულ დაუწითლდა, ბებერაც დააჯდა, მაგრამ ამას არაფრად დაგიდევდათ, გახარებული იყო, რომ თოკის დამზადების პრიმიტიული პროცესიც ნახა.

შემდეგ ისევ ირაკლი და გიგი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ჯარა გვერდზე გადადეს. იასონმა თოკის სამი შეერთებული წვერი მჯიღში მოიქცია, საჩვენებელ თითსა და ცერს შუა გადადებით მოხრილ იდაყვზე გადაიხვია რამდენჯერმე და მერეღა დაიწყო ცოტ-ცოტას გამოშვება, რომ წვერები ერთმანეთზე კარგად გადაგრეხილიყო და საბელი მაგარი და გამძლე გამოსულიყო.

— აგაშენათ! — დაიძახა იასონმა და უკვე მზა საბელი ჩამოსაკიდად გაამზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**III. ცოტა უცნაური ბატკნის მწყემსი. გუდაში საგზალი და... წიგნი. ცხვრის წველა. მცნობი და ცხვარბატკანი. თუშური ყველის დამზადება. ბერდედის ამანათი შენაქოდან. დისკოთეკა გამოქვაბულში.**

მზე შუბის ტარზე დავიდა. ჰალმა შეფენებულზე ჯერ ბატკნის ფარა გამოჩნდა, შემდეგ დედაცხვრისა. ბერწი ცხვარი მოგვიანებით შემოვიდოდა.

კუნტრუშითა და კიკინით მომავალ ბატკნის თეთრ ქარავანს უკან კისერზე კომბალშემოდებული, კომბალზე ორივე ხელჩამოყრდნობილი ბიჭი მოჰყვებოდა, ხანდახან შემოუძახებდა, ან წამოუსტვენდა ხოლმე თავის სამწყსოს. ლეგა ძაღლი ხან ზემოდან შემოუყეფდა ფარას, ხანაც — ქვემოდან, უფრო ზრდაში შესული ლეკვი უნდა ყოფილიყო.

ჩაგორებული ბატკნის ამოსაყვანად რომ ჩაფრინდა ბიჭი ბექობზე, კახამ ზურგზე მოგდებული გუდა შეამჩნია, ქამარზე სალამური, მათარა და გრძელი დანა ეკიდა. ნამდვილი მეცხვარეაო, გაიფიქრა კახამ.

— ფარეხთან დავდგეთ, მივეხმაროთ შერეკვაში! — თქვა ასმათმა.

ირაკლი მაშინვე დაფაცურდა, მცირე ფარეხის შესასვლელში გადებული ყავრიდან დაბლითები განზე გასწია, ბატკნები თავისუფლად შეძვრებოდნენ. სარს ხელი წამოავლო და ადგილი დაიკავა. ასმათი და მანანა მეორე მხარეს დადგნენ.

როცა ყველა ბატკანი ფარეხში აღმოჩნდა, ირაკლიმ ყავრები თავის ადგილზე გადო.

მებატკნემ, ცალი ხელით დოინჯშემოყრილმა, დამხვდურები აათვალ-ჩაათვალიერა, მერე ბიჭებს სათითაოდ ხელი ჩამოართვა.



— ბახტურ რაინაული!

— ჩვენ ვერ გვამჩნევთ? — იკითხა მოთმინებადაკარგულმა მანანამ.

— თქვენს ხელს ველოდები... დედოფალო მარგო!

— არ მითხრათ ახლა, ამ გუდაში საგზლის მაგივრად წიგნები მიწყვიაო! — არც მანანამ დაიხია და ხელი გაუწოდა, — მანანა აზიკური!

ბახტურმა ორივე ხელი შეაგება.

— ეჰე, გავკადნიერდები და შემოგბედავთ, — წიგნი საგზალია, უდიდესი საგზალი, რომელსაც რატომღაც ძალიან ხშირად უმცირესი საგზალი — პური სჯაბნის... პური ჩვენი არსობისაო, გაგიგონიათ?! რამდენჯერ დავფიქრებულვარ, მე ეს წიგნზე მგონია ნათქვამი. თქვენ, ყველას ერთად, ერთი წიგნი მაინც თუ გაქვთ წამოღებული... სულიერ საზრდოდ?

ბავშვებმა მხრები აიჩეჩეს.

— დარწმუნებული ვარ, კახას ექნებოდა, მაგრამ მაგისი ზურგჩანთა დართლოს ქარაფებმა შეიწირა... — თქვა მანანამ.

ბახტურმა მხრებიდან შუაზე თასმაგადაჭერილი გუდა აიხსნა. ზედა ნაწილიდან გაზეთში სათუთად შეხვეული წიგნი ამოიღო, მანანას მიართვა.

მანანამ გაზეთი გადასწია, ყველამ ყდას დახედა.

— რომ ვთქვა, „მანონ ლესკო" წამიკითხავსო, არ ვიქნები მართალი... — მანანა შეყოვნდა. — იცით?.. საინტერესოა... ხვალვე ბატკანში გამოგყვებით!

— „დაჭედილი" თუ ხართ?!

მანანამ ფეხსაცმლის ძირი ამოაბრუნა, ათასნაირად დაღარულ-მოღარული.

— გორ-გურებზე და კლდე-ღრეში ფეხის მოკიდებას შესძლებთ! — დაამშვიდა ბახტურმა.

გიგიმ ჩაახველა.

— მანანა, ერთხელ როგორღაც შენ თვითონაც სთქვი, თუშებში მეცხვარეობა, მწყემსობა ქალების საქმედ არაა მიჩნეულიო...

— სპორტული, სპორტული ინტერესისათვის, გიგი!.. მხოლოდ თქვენთან ერთად, უთქვენოდ არც მიფიქრია.

— მაშინ მე შვებულებას ავიღებ... მთელი პირიქითის იალაღები თქვენთვის დამითმია, — ჩაილაპარაკა ბახტურმა და დიდი ფარეხისაკენ წავიდა. ბილიკზე ზვიადად მომავალი ყორ., გამოჩნდა, დაგრეხილი რქებითა და დარბაისლური წვერით დამშვენებული, ფარას მოუძღოდა.

ძაღლი მოერეკებოდა ფარას.

— არ გადამრიოთ, ხალხნო! რა ამბავია ამდენი ძაღლი?! ცხვრის ბინაა თუ ძაღლებისა? — ვეღარ დამალა გაოცება მანანამ.

— აბა, რა გგონია, სანახევროდ ძაღლებზეა ჩამოკიდებული ფარის ბედ-იღბალი, — თქვა გიგიმ.

დასასრული შემდეგ ნომერში



# იქნებ ეს მოწოდებაა?!

ბიძინა მეზუკისა და მის მოსწავლეთა გამორჩეული მზრუნველობა მართლაც რომ დაიმშვენა სკოლის ახალმა კაბინეტმა.

ნინო ხარაზიშვილი

თემურ ცაგარელის ფოტო

აურიამულებაც და ჩამყუდროებაც მოულოდნელი იცის სკოლამ. ჩამოჰკრავს მორიგი გაკვეთილის დაწყების მაუწყებელი ზარი, კვლავ ახმაურების მოლოდინში გარინდული რჩება დერეფანი... მიჯრით განლაგებული ათობით ოთახი კი ერთბაშად ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სამყაროთი ცხოვრებას იწყებს. ეს... გაკვეთილია. აი, როდის იბადება ის ძლიერი ბავშვური შთაბეჭდილებები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზეც საყვარელი მასწავლებლის უთბილეს მოგონებად შემორჩება ხოლმე თითოეული ჩვენგანის მეხსიერებას.

დიდი საბჭოთა პედაგოგი ვ. სუხომლინსკი გაკვეთილს მოსწავლის მიერ სამყაროს აღქმის პროცესის უმთავრეს ორგანიზაციულ ფორმად თვლიდა. ამ „ორგანიზაციულ ფორმაში" მთელი თავისი სიყვარულისა და სათქმელის ჩატევა ალბათ ყველა მასწავლებლის ოცნებაა. და... უთუოდ არანაკლები ოცნება იმ ადამიანებისა, რომლებიც დღეს სკოლაში მათ გვერდით მუშაობენ და მათ თანაბრად სძლევენ პედაგოგის შრომატევადი ყოველდღიურობის მთელ რიგ სიძნელეებს. ეს ადამიანები — მეცნიერები დღეს ჩვენი ნარკვევის გმირები არიან. მათ თავად ინდომეს, ბავშვებთან მუშაობით, მათ პატარა სიხარულსა და საზრუნავში ჩახედვით ეკეთებინათ ჭეშმარიტად დიდი და უანგარო საქმე — არა მარტო ცალკეული დისციპლინები ესწავლებინათ, არამედ მეცნიერების განვითარების სიმაღლეებიცა და პერსპექტივებიც დაენახვებინათ თავიანთი მოსწავლეებისთვის.

მაშ, ასე — ჩვენი მასპინძელია თბილისის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლა, აქ აღზრდილი სახელოვანი ადამიანებითა და მდიდარი ტრადიციებით მთელს დედაქალაქში გამორჩეული ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი. ამ ტრადიციათაგან ერთ-ერთს, ყველაზე საყურადღებოს, სწორედ ეს — სკოლის ხელმძღვანელობისა (დირექტორი ლამარა მარგველაშვილი) და მეცნიერთა შემოქმედებითი კონტაქტები წარმოადგენს. ამ შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგია, რომ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ხვედელიძე, აგერ უკვე ოც წელზე მეტია, ამ სკოლის ასტრონომიის მასწავლებლობას ითავსებს.

დაიწყო ეს წელი და... ახალი სასწავლო დისციპლინის — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების შემომატებასთან ერთად, სკოლაში მომუშავე მეცნიერთა პატარა კოლექტივს ახალი წევრი შეემატა — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ბიძინა მეზუკე, ახალგაზრდებთან მუშაობაში უკვე საკმაოდ გამოცდილი მეცნიერი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგის მოადგილე.

ავ თვალს არ დაენახვება სკოლის ახალი საგნობრივი კაბინეტი: იაპონური ფირმის „იამაჰის" 16 ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის დამონტაჟება შეფებმა — განათლების სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლებმა ითავეს. კაბინეტში რომ შემოვდიოდით, სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, პატივცემულმა გაბო გაბიტაშვილმა უთუოდ საჭიროდ მიიჩნია, ჯერ ეს ეცნობებინა — ბატონი ბიძინაც და გამოთვლითი ცენტრის დირექტორი გია გვა-

რამიაც ჩვენი სკოლის აღზრდილები არიანო... აი, როგორი დიდი და ძველი სიყვარულის პირმშო ყოფილა 53-ე სკოლელთა ეს ცინცხალი კაბინეტი...

და კიდევ ერთი: ზუსტი მეცნიერებებით დაინტერესებული მოსწავლეები დღითიდღე გვიმრავლდებაო. ესეც სკოლაში მომუშავე მეცნიერთა დამსახურებად აღვიქვით. მით უმეტეს, იმ თითო-ოროლა სტუმრობის დროსაც არაერთხელ გაგვაგონეს, რომ ბავშვებს მართლაც გამორჩეულად ჰყვარებიათ რეზო მასწავლებლის, ლავროსი მასწავლებლისა და ჰამლეტ მასწავლებლის ქიმიის, ფიზიკისა და ალგებრა-გეომეტრიის გაკვეთილები. აი, ისინიც: თბილისის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი რევაზ კლდიაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ჰამლეტ მელაძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლავროსი შევარდნაძე (თავის „ძირითად" სპეციალობასთან — ფიზიკასთან ამ ბოლო დროს საქმით „დაშორების" გამო გულდაწყვეტას იგი უთუოდ 53-ე სკოლელთა ფიზიკის გაკვეთილებით იქარვებს). მაგრამ, მოდით, უფრო ახლოს გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს...

**ჰამლეტ მელაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრის გამგე.**

ცნობილი მათემატიკოსის — დავით გილბერტისთვის უკითხავთ რომელიღაც მისი მოწაფის წარმატებათა შესახებ. — ახ, ის, — უპასუხნია მეცნიერს, — მათემატიკისთვის მას საგრძნობლად ღარიბი წარმოსახვა ჰქონდა, ის ხომ პოეტი გახდა...

დიახ, ასეთი, ზოგჯერ ძალზე მოულოდნელი მხარეებიც აქვს ხოლმე ჩვენთვის ბოლომდე შეუცნობელ დარგს მეცნიერებისას. საკუთარი წარმოსახვის თავისუფლად „მართვისა" და პოეზიის შეგრძნება კი უფრო გვიან მოდის, მას შემდეგ, რაც უკვე წარმატებით გადალახავ სწავლის „სიმწარის" ყველა მექანიკურ ბარიერს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ მეცნიერების რთული კატეგორიებით აზროვნება შენი პიროვნული „მეს" გამოხატვის ერთადერთი უმთავრესი ფორმა გახდება.

ამგვარი „მეს" მოპოვებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო უდევთ ჰამლეტ მელაძის მოწაფეებს, იმ მერვეკლასელ ბიჭებს, ხუთშაბათობით ამაყად რომ აივლიან ხოლმე უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის რვა სართულს, თავიანთ მასწავლებელთან დამატებით გაკვეთილზე ან ელექტრონულ-გამოთვლით მანქანასთან შეხვედრაზე ყოველთვის რომ მიეჩქარებათ... მათი ეს პატარა სიამაყეც თავისებური სიყვარულია, სიყვარული, რომელიც თავიანთი მეცნიერი მასწავლებლის თვალითაც დაანახებთ საკუთარ ყოველდღიურ წარმატებასა თუ წარუმატებლობას. ამ წლინახევრის მანძილზე კი, რაც ჰამლეტ მასწავლებელი ალგებრა-გეომეტრიას ასწავლის, ორივე დაუგროვდათ. მაგრამ ერთი რამ შეიცვალა — უცნაურად გალხვა ის მაღალი ჯებირი, რომელიც ადრე სხვა ადვილადდასაძლევი საგნებისგან მიჯნავდა მათემატიკას... და, იქნებ, სამიოდ წელიწადში რომელიმე მათგანი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანატში აღბული სტუდბილეთითაც მოგვევლინოს. მაგრამ... ეს ის საკითხია, რომელზეც ჯერ მხოლოდ ბუნდოვანი, მთლიანად გამოუკვეთავი გულისთქმით ფიქრობენ ხოლმე ბიჭები.

მაგრამ... რატომ მხოლოდ ბიჭები? საქმე ისაა, რომ ოცი მოსწავლისგან დაკომპლექტებული ეს კლასი მართლაც მხოლოდ ბიჭებისგან შედგება. იგი შეიქმნა, როგორც სარეზერვო „მართვესთვის" — ნორჩ კალათბურთელთა გუნდისთვის.

რახან „მართვე" ვახსენეთ, არ იქნება, მასწავლებლის ერთი ამასწინანდელი ნაამბობი არ გავიხსენოთ: გაკვეთილს არ მოამზადებდნენ და... კალათბურთში ბევრს გავარჯიშებენ და მეცადინეობას ვერ ვასწრებთო... — ერთი კაცივით ყველას ეს მიზეზი ჰქონია მზად.



ზუსტი, ამომწურავი პასუხი. უყვარს ჰამლეტ მასწავლებელს...

ერთხელაც... თამაშზე მოულოდნელად ეწვევიათ მათემატიკის მასწავლებელი (როგორც შემდეგ შეიტყვეს, წარსულში საკმაოდ კარგი კალათბურთელი), ენახო, როგორ თამაშობთო. ერთი-ორი საქმიანი რჩევაც მიუცია. იმ დღიდან რაღაც კიდევ მეტად გაფაქიზებულა მასწავლებელ-მოსწავლეთა ურთიერთობაში. ასე მოხდა. ბავშვებმა მათ-

თან მომუშავე გამოცდილ მეცნიერსა და მომთხოვნ მასწავლებელში ყველაფრის კაცურად გამგები კაცი და ოდესღაც მათსავით ონავარი ბიჭი დაინახეს.

...ახლა გეომეტრიის გაკვეთილია. გაკვეთილის თემაა „ვექტორის რიცხვზე გამრავლება“. გულდინჯად, ისევ ყველაზე სუსტ მოსწავლეთა „დახმარებით“ მტკიცდება თეორემა. დაფასთან ბავშვები ცვლიან ერთმანეთს. გაკვეთილის ბოლოს კი ისეთი შეგრძნება გრჩება, თითქოს დაფასთან მთელი კლასი იდგა. და ეს ასეცაა. აი, როგორ ჰგავს ბავშვთან ინდივიდუალურ მუშაობას ბატონი ჰამლეტის ეს ჩვეულებრივი, კოლექტიური გაკვეთილები.

იწურება მეცადინეობის 45 წუთიც და შესვენების იმ ხუთ წუთსაც ისევ მასწავლებლით კმაყოფილების დაუფარავი განწყობილებითა და თავიანთი პატარა საყოველდღეო გეგმებით ცხოვრობენ ბიჭები. ლადო ანთაძეს და ირაკლი ჭირაქაძეს შეჯიბრებების ბედი აღელვებთ, არც გაემტყუნებათ, ისინი ხომ საქართველოს სამთო მოთხილამურეთა ნაკრების წევრები არიან. ლევან ყიფიანი მამას — ცნობილ ფეხბურთელს ბაძავს, თავადაც ფეხბურთელობაზე ოცნებობს. სერგო ღვინერიაც „ცნობილი“ კალათბურთელია. აი, ნიკა ჯულელი კი, ნიკალა—როგორც კლასში ეძახიან, სხვაა, ამ ბიჭის ნახატების სამყარო მთელ კლასს ანცვიფრებს. მათი მათემატიკის მასწავლებლისთვის კი... ეს გაკვეთილები და ხმაურიანი შესვენებები კიდევ ერთი მიახლოებაა მამის — თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის ყოფილი დირექტორის ვარლამ მელაძის ინტერესებთან. ამ უკანასკნელთან ასეთივე მიახლოებაა მისთვის „მცირე აკადემიაც“ — ნიჭიერ ბავშვთა ეს მშვენიერი საკრებულო, რომელიც სწორედ ჰამლეტ მელაძის—ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის, უშუალო მეცადინეობით, აგერ უკვე მეცხრე წელია, არსებობს.



დამოუკიდებელი აზროვნებისა არ უნდა შეგეშინდესო — აი, რა ყოფილა ფიზიკაში ყველაზე მთავარი.

**ლავროსი შევარდნაძე** — ხილისა და ბოსტნეულის შენახვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

თავის უნებლიე პედაგოგობას (მაინც უნებლიეთ თვლის, თუმცა აგერ უკვე მეოთხე წელია, სკოლაში ასწავლის) მეგობარს უმადლის, აქვე, 53-ე სკოლაში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერს — რევაზ კლდიაშვილს. პირველად მას უთხოვნია, გაკვეთილზე შემომყევი, არ გაინტერესებს, რას და როგორ ვასწავლი ბავშვებსო... მერე იყო ის — საოცრად მოულოდნელი, ძალზე დიდი შთაბეჭდილება, მასწავლებელ-მოსწავლის ტრადიციული „საკლასო“ ურთიერთობის ოფიციალობამორღვეული კლასი, გაკვეთილზე გამეფებული ენთუზიაზმი, ფორმულებით აჭრელებული რუხი დაფა და... თქვენ წარმოიდგინეთ — კედლებიც...



ელექტრონულ-გამოთვლით მანქანასთან მუშაობა უკვე გატაცებად ქცევია მეცხრეკლასელ [illegible]

ასე დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ გამოიძახეს სკოლაში. დირექტორმა, სკოლაში მეცნიერთა შემოკრებით ძალზე დაინტერესებულმა ქალბატონმა ლამარამ, კლასში შესვლა სთხოვა. ესეც მოულოდნელი იყო, საშიშიც. მაგრამ... ბავშვებთან შეხვედრის პირველი წუთების შიში მალე სადღაც გაქრა... ასე მოგვევლინა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლავროსი შევარდნაძე თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლად.

ყოფილ მოსწავლეებთან განშორების ტკივილი უკვე იგემა. კლასმა, რომელთანაც მუშაობითაც დაიწყო, გასულ წელს დაამთავრა სკოლა. თავად კი... მხოლოდ გამოსაშვებ საღამოზე იგრძნო, როგორ ჰყვარებიათ ბავშვებს. ამას რომ ამბობს, ამ კლასთან თავისი პატარა კონფლიქტიც ახსენდება: ერთხელაც, განაწყენებულმა გამოუცხადა კლასს, თუ ასე გააგრძელებთ, სკოლას დავტოვებო... ბავშვების ელვისებური რეაქცია დღემდე ახსოვს, ბედნიერად ახსოვს. აი, ისინიც, მისი პირველი მოსწავლეები, დღეს სტუდენტები: „ბუთა“ რურუა (ამ ზედმეტ სახელს მეც სიამოვნებით ვეძახდი), მაია ჩიკვაშვილი, ივანე ჩიღვლივაძე, ლაშა იაშვილი, ქეთინო ჩხატარაშვილი, დათო სულაბერიძე, ნინო საყვარელიძე, ირაკლი ქინქლაძე — ლავროსის ახალბედა მასწავლებლობის მოწმენი და შემფასებელნი...

ცდილობს ლავროსი შევარდნაძე, მიეჩვიოს თავის „ახალ“ როლს, ძალიან უნდა, მკაცრი იყოს, ხშირად — დაუთმობიც, მაგრამ... ბუნებით მკაცრი ვერა ვარო, წუხს თუ თავს იმართლებს. ცოდნის შეფასებაში უშეღავათობა კი უფრო გამოსდის. ეს მისი რწმენის გამოცაა. ასეთი გაიზარდა, საკუთარი თავისგან და შესაძლებლობებისგანაც ზედმიწევნით მომთხოვნი, მოსწავლისაგანაც ამას მოითხოვს. უკმარისობის გრძნობა გაკვეთილზეც და მას შემდეგაც იშვიათად სტოვებს. ამ დროს თავისი საყვარელი ლექტორი ახსენდება, კაცი, რომელიც ფიზიკის ფაკულტეტზე ახლაც ასწავლის, არჩილ სულაქველიძე... განა მარტო შესანიშნავი ლექციებით, უპირველეს ყოვლისა, მეგობრობით რომ აძლევდა სტუდენტებს კაცობისა და ადამიანობის დიდ გაკვეთილებს.

წელს ლავროსი მეშვიდე კლასს ასწავლის. ფიზიკის კანონების მიერ ბუნებაში დამყარებულ წესრიგს მისი დახმარებით ახლა მოსწავლეთა მეორე თაობა ეცნობა. ამ საქმეში ყველაზე მეტად ჩემი ქალიშვილის მეშვიდეკლასელობა მშველის... ქეთინოს ხშირად თავადაც მოწაფესავით უსმენს ხოლმე, მერე დაფიქრდება და გრძნობს, როგორ ეხმარება თავის მოსწავლეთა გულისთქმის შეტყობაში საკუთარი ქალიშვილის ბავშვური მსჯელობა...

ეს ის ფიქრია, სკოლის გარეთაც ხშირად რომ მიჰყვება ხოლმე, განა მარტო სახლში, ლაბორატორიაში მუშაობის დროსაც არცთუ იშვიათად თავს შეახსენებს. სამუშაო კი აქ არის, თუ არის — ახალშექმნილ ინსტიტუტს საკვლევ პრობლემებს გარდა საორგანიზაციო მოსაგვარებელი საკითხიც ბევრი აქვს. ახლახან პრობლემური ჯგუფი შეიქმნა ლაბორატორიაში, რომელიც მეტად საშური სასოფლო-სამეურნეო პრობლემის — ხილისა და ბოსტნეულის დამწიფებისა და დაბერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს — ფიტოჰორმონალურ რეგულაციას სწავლობს. ამ სამუშაოებს ლავროსი ხელმძღვანელობს. აი, სად არის ძირითად ინტერესთა ის სფერო, რომელშიც ყველაზე შემოქმედებითად მჟღავნდება 53-ე სკოლელთა ფიზიკის ახალგაზრდა მასწავლებლის მიდრეკილებები და ხასიათი.

და კიდევ ერთი: მოზარდებთან მუშაობა მასწავლებლობამდეც უცდია თურმე ლავროსი შევარდნაძეს. ერთხანს ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური საბჭოს აქტივისტიც ყოფილა, მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის სექტორს ხელმძღვანელობდა თურმე, დუშეთსა და გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში მოწყობილი „მცირე აკადემიების“ სამეცნიერო ხელმძღვანელი ვიყავიო... ამ შეხვედრების მონაწილე მოზარდებისგან წერილებს დღემდეც იღებს თურმე... ასე რომ, არც ისე უნებლიე უნდა იყოს ლავროსი შევარდნაძის დღევანდელი პედაგოგობა.

## იუმორესკა

ერთხელ ჩემს მეზობელს ნაცნობი ეწვია და უთხრა: — ყური მიგდე, მინდა გიამბო, რა თქვა შენზე ერთმა შენმა მეგობარმა...

მეზობელმა სიტყვა შეაწყვეტინა:

— ვიდრე მიამბობდე, გულწრფელად აღიარე, ეგ ამბავი, რისი შეტყობინებაც გინდა, სამ ცხრილში თუ გაატარე?

— რომელ სამ ცხრილში?

— უპირველეს ყოვლისა, სიმართლის ცხრილში, — მიუგო ჩემმა მეზობელმა. — თუ შეამოწმე მისი სიმართლე?

— არა, მე იგი სხვისგან მოვისმინე...

ჩემმა მეზობელმა თავი გააქნია და განაგრძო:

— მეორე ცხრილში მაინც თუ გაატარე, ეგრეთ წოდებულ სიხარულის ცხრილში, იქნებ შენი მოტანილი ამბავი სინამდვილეს შეეფერება, ან იმდენად სასიამოვნო მაინცაა, რომ სიხარული მომგვაროს?

— არა მგონია, გაგახაროს...

— მაშ, თუ სასიხარულოც არ არის, იქნებ მესამე ცხრილში გაქვს გატარებული, — სარგებლიანობის ცხრილში... ის, რისი მოყოლაც გინდა, უთუოდ სარგებლობას მაინც მომიტანს?!

— არა მგონია.

— მაშინ სჯობს დაივიწყო, პირში წყალი ჩაიგუბო, — დაარიგა ჩემმა მეზობელმა. — თუკი ეს ამბავი არც სინამდვილეს შეეფერება, არც სასიხარულოა და არც სასარგებლოა, სათქმელადაც არ ღირებულა, კრინტსაც ნუ დაძრავ, საერთოდ დაივიწყე!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ ზ ო რ   ა ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

ო რ ი   ლ ე ქ ს ი   ც ი კ ლ ი დ ა ნ „ქ ა რ თ ლ შ ი   ა მ ო დ ი ს   მ ზ ე   მ ე ს ა მ ე   ა თ ა ს წ ლ ე უ ლ ი ს“

## სიმრავლეშია უკვდავება, ქართველო, შენი!

ათი მემკვიდრის გასათბობად დანთებულ კერას
თქეში და წარღვნაც ვერ ჩააქრობს, ვერა და ვერა!
ათი მემკვიდრის გამზრდელ მშობლის დაძარღვულ
მარჯვენს
ვინ შეეტოქოს, უძლეველსაც ის ყოველს დასძლევს.
დღეს სხვა ფასი აქვს, ვიდრე იგი ჰქონია სხვა დროს,
ათი მემკვიდრის საარსებოდ მოწეულ საზრდოს.

შეხედეთ ათთა იმედიან და ნათელ მზერას...
ათი მემკვიდრით ძალმოცემულს ვინატრით კერას.
სიმრავლეშია უკვდავება, ქართველო, შენი.
მდინარედ მოდის კოლხ-იბერთა ტანჯული გენი,
მაგრამ ზღვად მსურხარ... და ზღვა როცა აიშლის
ტალღას,
ლაღად და ლაღად, რა თქმა უნდა, მაღლა, სულ მაღლა!

## ი მ ე დ ი

კი, დაუქარგავს,
კი, დაუხატავს
მზეს თუ ზენაარს
ჩვენი მთა-ბარი;

კი, ასეთია,
გადასარევი,
სამოთხისდარი,
ან იქნებ — მეტიც,

მოკლედ, ცა-ფირუზ,
ხმელეთ-ზურმუხტი,
თითქოს უძირო
ზეცისმაგვარი.

ოქროს წვიმებით,
ლურჯი დარებით,
სადაც თავთუხს ზრდის
ულალო ბელტიც.

სწორედ ამიტომ
უფრორე ვწუხვარ
ჩვენი ჯიშის და
გვარის სიმცირეს,

და მაინც ზოგჯერ
მიკვნესის გული,
მტკივა სამკვიდრო
ჩვენი ედემი...

თუმც ჯერ ამაყად
ბუბუნებს მუხა
და ცად ვარსკვლავიც
მისი ციმციმებს.

მაგრამ ძარღვს, სისხლო,
იმგვარად უვლი,
ლორთქო ჯეჯილად
მეიმედები.

ვ ა ჟ ა   ხ ო რ ნ ა უ ლ ი

## ე რ თ გ უ ლ ი   ბ ი ჭ ი

თმათეთრი, ხალისიანი,
თიბავს და თიბავს პაპა.
ტყეს აშრიალებს ნიავი,
ჰყვება ღრუბლების ამბავს.
იქვე ბიჭუნა რომ მოჩანს,
შვილიშვილია მისი,
პაპას ყველაფერს უჯერებს:
წყალს ეზიდება ცივ-ცივს,
სათიბთან საჩრდილობელი
ქოხიც წამოდგა მისთვის,
სკოლაშიც, სკოლის გარეთაც
სულ მისი ქება ისმის,
სახელად ჰქვია არმაზი,
გულს გაიმეტებს სხვისთვის.

უეცრად პაპა დაეცა,
ფეხი გაიჭრა ცელით,
არმაზი დანაღვლიანდა,
თვალზე მოადგა ცრემლი.
— ნუ ტირი, —
პაპა ამშვიდებს, —
შენ ხარ იმედი ჩემი,
აგერ, ტყის პირას, აბია
ჩვენი ჭკვიანი ცხენი,
მოახტი, წადი სოფელში
(საქმე არაა ძნელი),
მეზობლებს შეატყობინე,
შემომაშველონ ხელი.

არმაზიც ასე მოიქცა,
ცხენით დაღმართზე მიჰქრის,
პაპას დროულად უშველოს —
ესაა მისი ფიქრი...
აგერ, სოფელიც გამოჩნდა
ლურჯი მდინარის იქით.

პაპა წევს...
სტკივა ჭრილობა,
მზემ აიწია, ცხელა.
ჰა, მეზობლებიც მოვიდნენ
(ზოგი კი არა, ყველა!):
ბერდია, გაგა, გიორგი,
გოგოთური და გელა,
წინ მოუძღოდათ არმაზი,
პატარა, ნერგისხელა...

წიფლის ტოტების საკაცით
წამოიყვანეს პაპა...
ჭრილობა მალე მოურჩა,
სულ ერთ კვირაში, აბა!..

პაპის ღიღინი, ცელის ხმა
სათიბში ისევ ისმის,
იქვე არმაზი ფუსფუსებს,
გულის ნათელი მისი,
ხან წყალი მოაქვს ხევიდან,
ხან ქოხს აკეთებს მისთვის.
ასე რომ უყვარს სუყველას,
არის ნამდვილად ღირსი,
ვაშლს და ჩურჩხელას კი არა,
გულს გაიმეტებს სხვისთვის.

მანანა გელაშვილი

ფოტო
გიორგი ცაგარელისა

რამდენიმე წლის წინ კომუნისტური შრომის საწარმოს, თბილისის ცხიმკომბინატის სახელოვანი კოლექტივის შრომა-საქმიანობამ კიდევ ერთი მიმართულება შეიძინა — საშეფო მუშაობა. დღეს კი უკვე ტრადიციად დამკვიდრებული კომბინატელთა შეფობა, მრავალ კეთილ და სასარგებლო საქმეში გამოხატული, ხელს უწყობს სამეურვეო 89-ე სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის სრულყოფას,



პიონერები შეფების შრომითი დიდების მუზეუმის ხშირი სტუმრები არიან.

# შეფების ნაკვალევი

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დღევანდელი მოთხოვნილებების შესატყვის დონეზე წარმართვას.

შეფობა რომ განდონ, უნდა დაიმსახურო და საქმე მხოლოდ ეკონომიკურ სიძლიერესა და წელგამართულობაში როდია. უპირველესი პირობა აქ, ალბათ, საშეფო საქმიანობის დანიშნულების შეგნებაში, ამ მიმართულებით აღებული ვალდებულებების მნიშვნელობის გასიგრძეგანებაშია. ამაზე ფიქრობდნენ მაშინ ცხიმკომბინატის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ხელმძღვანელები და აქტივისტები, სკოლის პედკოლექტივთან მომავალი ერთობლივი მუშაობის სავარაუდო გეგმა-ღონისძიებებს რომ სახავდნენ. დრომ გამოაჩინა, თავიდანვე რა დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებიან დამკვრელური შრომითა და შინაარსიანი საზოგადოებრივი საქმიანობით სახელგანთქმული ცხიმკომბინატელები საქმეს.

აკადემიური მოსწრება შეფების უპირველესი საზრუნავთაგანია. აქედან გამომდინარეშ წამოიწყო კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ მოძრაობა—ყოველი სემესტრი—კომუნისტთა ყურადღების ცენტრში, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ შეფები სისტემატურად ეცნობიან სკოლის მოსწავლეთა ნიშნებს, ლამის ზეპირად იციან თითოეული კლასის წარმატება-წარუმატებლობა. მიზეზების გარკვევა-დადგენის შემდეგ სათანადო ღონისძიებები ისახება. ერთ-ერთი მათგანია ყოველი სემესტრის ბოლოს მშობელთა კრების ჩატარება წარმოებაში. კომბინატში შექმნილია კომისია სკოლა-წარმოება-ოჯახი, რომლის შემადგენლობაში შედიან პარტბიუროს წარმომადგენლები, კომკავშირული აქტივისტები, დამრიგებლები, შრომის ვეტერანები. კომისიას ევალება სისტემატურად აკონტროლოს საშეფო სკოლის მოსწავლეთა სწავლა, დისციპლინა, საზოგადოებრივი საქმიანობა, სკოლისა და ოჯახის ურთიერთობის საკითხები, ქმედითი დახმარება გაუწიოს პედკოლექტივსაც და ოჯახსაც. არც შრომითი სემესტრის დღეებში აკლებენ კომისიის წევრები მოზარდებს ყურადღებას. სკოლის უფროსკლასელები შრომით სემესტრს ხომ მთლიანად შეფების მხარდამხარ ატარებენ. ერთი შეხედვით ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ თითქმის მთლიანად ავტომატიზებულ, სპეციფიკურ საწარმოში მუშაობამ არცთუ დიდად უნდა დააინტერესოს გოგო-ბიჭები. მაგრამ ისეთი სიამოვნებითა და ხალისით მუშაობენ ხოლმე ისინი კომბინატის საამქროებში, უფრო ხშირად კი მაიონეზის უბანზე, რომ ყოველგვარი ეჭვი იფანტება. ალბათ სწორედ ამ დღეებში უჩნდება ხოლმე ბევრ მათგანს სურვილი — სკოლის დამთავრების შემდეგ აქ, ცხიმკომბინატში, მოვიდეს სამუშაოდ. სურვილს შრომის და დასვენების ის საუკეთესო პირობებიც აძლიერებს, რომლებიც კომბინატში მომუშავეთათვის, კერძოდ ახალგაზრდებისათვის, არის შექმნილი.

არაერთი ერთობლივი ღონისძიება მოუმზადებიათ და ჩაუტარებიათ შეფებსა და საშეფო სკოლას: შეხვედრები შრომისა და ომის ვეტერანებთან, საშეფო სამხედრო ნაწილთან, მუშად კურთხევა, კომბინატის ტერიტორიაზე მოწყობილ შინმოუსვლელთა მემორიალში გამართული საცხრამაისო მიტინგები, პენსიაზე გაცილება, შაბათობები... სკოლის თვითმოქმედი კოლექტი-



გაორმაგებული ენერგიითა და მონდომებით შრომობს ცხიმკომბინატის თითოეული მუშა, თავისი წვლილი შეაქვს სკკპ XXVII ყრილობის დიად მიზანდასახულობათა შესრულების საქმეში.

ხალისით უყვება მოსწავლეებს თავის საქმიანობაზე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი ნორა არმაგანოვა.



ვის წევრები კომბინატის კლუბში გამართული ყველა კონცერტისა და საზეიმო საღამოს აუცილებელი მონაწილენი არიან. ასე იყო კომბინატის დაარსების 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმზეც, როცა ნორჩმა მომღერლებმა, მოცეკვავეებმა და დეკლამატორებმა თავისებური ხალისი და ელფერი შესძინეს შეფების ზეიმს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, მათი ზეიმიც იყო.

მღელვარებით ელიან ყოველ ამ დღეს 89-ე სკოლის მეათეკლასელები და ცხიმკომბინატის მუშა-მოსამსახურეები, როცა კომბინატის კლუბში კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადასცემენ საშუალო სკოლის დამთავრების დამადასტურებელ ატესტატებს. აქვე, კომბინატის ახალგაზრდული რიტუალების დარბაზში, იხდიან კურსდამთავრებულები გამოსაშვებ საღამოს. სწავლის წლებში ხომ გულისხმიერად მეურვეობენ შეფები მოსწავლეებს და სკოლის დამთავრებასაც პირველნი ისინი ულოცავენ მოზარდებს, კეთილი, ბრძნული სიტყვით მოძღვრავენ, რჩევა-დარიგებას ატანენ საგზლად.

ყოველ პირველ სექტემბერს კი შეფები იქით ეწვევიან ხოლმე სკოლას, ცოდნის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. კომბინატის დირექტორი შოთა ქუტიძე სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს მათ, ესაუბრება და კომბინატში ეპატიჟება. თუმცა ამ მოწვევას წმინდა სიმბოლური ხასიათი აქვს, იმიტომ, რომ 89-ე სკოლელებს შეფებთან მისასვლელად რაიმე განსაკუთრებული მიპატიჟება სულაც არ ჭირდებათ. აქ ისინი ყოველთვის სასურველი სტუმრები არიან. იციან ეს მათ და ხან კომბინატის შრომითი დიდების მუზეუმის დასათვალიერებლად მოდიან, ხან კომბინატის ტერიტორიაზე მოწყობილი მცირე ზოოპარკის ახალ ბინადართა სანახავად, ხან მორიგი შრომითი წარმატების მისალოცად, ხან სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილი შრომის მოწინავეთა დაფის განახლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსათათბირებლად. ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც მარგარინის დამფასოებელი სამქროს ბრიგადირთან, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატთან ნორა არმაგანოვასთან შეხვედრა იყო. ქალბატონმა ნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი თანაკლასელი



ჯ ა ნ ს უ ღ   ნ ი ქ ა ბ ა ძ ე

## წინათქმა

იანვარია. ბარდნის,
დაქრის ნიავი გრილი,
პატარა დაბას სძინავს,
ჩვეულებრივი ძილით.
თეთრად ქათქათებს
კორდი
და ტრამალებზე
ფრთხილად,
ცისკრის ნათებით მოდის
უკრაინული დილა.
ნიავი ფიფქებს ფანტავს
და ხეებს ტანზე ახლის,
აგერ, პატარა ხატა, —
ჩემი ბავშვობის სახლი,
სადაც დიდი ხნის წინათ
ვცხოვრობდით მე და
მამა.
ოფიცერ მამას მაშინ
არ ვშორდებოდი წამით,
ახლაც ჩამესმის მარშის
ხმა და ბრძანება მამის.
მე მივდიოდი დნეპრთან
გაკვეთილების შემდეგ,
მახსოვს, თან ვახლდი
ხშირად
ბატალიონის ზემდეგს.
შემოვივლიდით დაბას
თოვლში, წვიმაში, ქარში,
ვეცოდებოდი, ალბათ,
დედით ობოლი ბავშვი.
მის დიდ ზრუნვას და
ამაგს
რა დამავიწყებს!
მახსოვს, —
ვასილი ერქვა, მამა
მოკლედ ეძახდა ვასოს...
ახლა მივდივარ მარტო,
ჯერ გაუკვალავ თოვლში.
არა, სულაც არ მაკრთობს
ზამთრის ყინვა და თოში.
ჰა, ჩვენი სკოლაც,
ირგვლივ
არყის ხეები აკრავს,
აქ შევიყვარე წიგნი,
გავეცან ქვეყნის ავ-კარგს.
— სალამი, ჩემო სკოლავ,
მიყვარხარ, როგორც
წინათ,
ისევ მომინდა ქროლვა,
თბილი სექტემბრის
წვიმა.
გული სხვაგვარად
ფეთქავს,
რაა ზამთარი მკაცრი,
აი, მოვსულვარ შენთან
უკვე ჭაღარა კაცი.
სალამი, ჩემო მერხო,
ჩემო მესამე კლასო,
სკოლის ზარის ხმის ექო
გუშინდელივით მახსოვს.
აგერ, სასწავლო ბაღი,
ლობე ბარდის და ეკლის...
სკვერში, მღიმარი
სახით, —
ქერა გოგონას ძეგლი.
მჯერა და აღარ მჯერა,
თვალი მევსება
ცრემლით,
ეს ხომ ვერაა, ვერა —
თანაკლასელი ჩემი!
თვალს ვერ ვაცილებ
დიდხანს,
ვფიქრობ: საიდან?
როგორ?
ასეთ თოვაში, მითხარ,
რამ მოგიყვანა, გოგო?

## დედა

რა ვუთხრა იმ დღეს,
რომელმაც დედას
უკურნებელი
შეჰყარა სენი!
არ გაუმართლა
საბრალოს ბედმა,
ბინდმა მოიცვა
სახლ-კარი ჩვენი.
...ბებია ჩვენთან
დარჩა ცოტახანს,
ერთ დღეს მამაჩემს
უთხრა: — ცოდვა ხარ!
ამ ბავშვს უდედოდ
გაუჭირდება,
მოვლა სჭირდება,
ზრუნვა სჭირდება!
ჰოდა, სოფელში
წავიყვან ჩვენთან,
არას მოვაკლებ,
იცოდეს ღმერთმა!
შეეპუნდა მამა:
— სიმართლეს გეტყვი,
ვინ გამაჩნია
ამაზე მეტი?!
სხვა ვინ იქნება
აწი ჩემს ახლოს?
ჯერ ჩემთან იყოს,
მერე კი ვნახოთ!..

## ომი დაიწყო!

— ომი დაიწყო! —
პატარა ხატას
ათასი მეხი
დაეცა ერთად.
ამ მოულოდნელ,
საშინელ დარტყმას
კერპივით დავხვდი,
რა უნდა მექნა?
მოვარდა ვასო,
მომხვია ხელი:
— მე პოლკში უნდა
დავბრუნდე ახლა,
ხვალ დილით მოვა
მანქანა ჩვენი
და ბებიასთან
სოფელში წახვალ!

●

გამოვიხურე
მდუმარედ კარი
და მერე გზისკენ
გამექცა მზერა.
აგერ, ძარაზე,
სხვებს შორის მდგარი,
ხელს მიქნევს ჩემი
კლასელი — ვერა.
მანქანა მძიმედ
გაუდგა შარას,
უკან მოგვყვება
მტვრის შავი კუდი.

---

რამ ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა ნორჩ მეგობრებს, განუმარტა სკკპ და საქართველოს კომპარტიის ყრილობების დიად მიზანდასახულობათა მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში, გაიხსენა თავისი შრომითი გზა, კომბინატში მოსვლის დღე, აქ მომუშავე მისი მშობლების მხარდამხარ შრომა.

შეფები მატერიალურ დახმარებასაც უწევენ სკოლას. კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლება-შევსება, თვალსაჩინოებების შეძენა, სარემონტო სამუშაოები, სხვადასხვა საჭიროებებისათვის გადარიცხული თანხები — ყოველივე ეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის არის გამიზნული. ექსკურსიების მოწყობა-ჩატარებაშიც ბევრჯერ დახმარებია კომბინატის კოლექტივი მოსწავლეებს. ისე რომ, შეფების და საშეფო სკოლის ურთიერთობას მრავალი წახნაგი და მრავალი მიმართულება აქვს. მთლიანობაში კი იგი მოსწავლე ახალგაზრდობის თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ მოქალაქეებად, კომუნისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად აღზრდის დიდ საქმეს ემსახურება.

ჩქარა და ჩქარა,
ჩქარა და ჩქარა!
არ დაიკარგოს
არცერთი წუთი!
არვინ ელოდა
ამნაირ ამბავს, —
როცა თუხთუხით
ჩავყევით შუკას,
გვითხრეს, რომ
„მტრებმა
აიღეს დაბა,
გზაც მოჭრილია,
დაბრუნდით უკან!..“

### პირველი დავალება

გამომელვიძა
მშიერს და დაღლილს,
შუკაში ყეფდა
მეზობლის ძაღლი.
სარკმლიდან ჩანდა
ფერმკრთალი ზეცა,
კარებში იდგა
ბიძია ვასო,
ტანზე რატომღაც
სოფლურად ეცვა.
— ბიჭო, შენ რატომ
არ კეტავ კარსო?
ვერა სად არი?
— თავისთან, სახლში!
— აბა, სასწრაფოდ
გადადი მამინ!
სასწაულების
თუმცა არ მჯერა,
უცებ ქლოშინით
მოვარდა ვერა.
ბიძია ვასო
შენიშნა როცა,
გახარებულმა
დაუწყო კოცნა.
— ახლა, ბავშვებო,
დამიგდეთ ყური,
ხომ გინდათ, მტერზე
ვიძიოთ შური?!
უნდა გაიგოთ,
დაბაში მდგარი
მტრის რაზმი ახლა
რამდენი არი!

ვიღაც ზლართანით
დაეცა გარეთ,
დაცემას მოჰყვა
გაბმული კვნესა.
გაოგნებულმა,
არ ვიცი, რა ვქნა,
ჭუჭრუტანიდან
გავხედე ეზოს,
გავაღე კარი,
იქვე, კარებთან,
ვიღაც უცნობი
უმწეოდ ეგდო.
— ჩვენიანია! —
ვუთხარი ვერას, —
ნუ გეშინია,
არ არის მტერი! —
ვიგრძენ, ბაგაბუგს
უმატა გულმა,
ვერასაც სულმთლად
წასვლოდა ფერი.
წამოვეშველეთ,
შინ შევიყვანეთ,
ძლივსღა უცემდა
გული და მაჯა,
მკერდზე მოვბანეთ
შემხმარი სისხლი,
სხვენზე დავუგეთ
თივა და ნამჯა.
რკინის ურდული
დავადეთ ხატას...
სახეზე წყალი
შევისხით პეშვით,
გზა-გზა იმატა
შუადღის ხვატმა,
სიდამწვრის სუნი
გვიჭერდა ყელში.

ჰა, დაბის ცენტრიც!
ოდესღაც მშიანს,
ქარი ღრუბელთა
ნაფლეთებს აჰყავს,
ტანკებისა და
მანქანის ხრიალს
ერთვის მომხდურთა
ღრიალი მჭახე...
შებინდებისას
ვბრუნდებით უკან,
უკაცურია
გზები და შუკა.
დაჭრილი ჩვენი
შფოთავს და ღელავს
— პარტიზანებთან
შეხვედრას ითხოვს.
— ამის დროც მოვა,
გვისმინე, ძია,
ნუ აღელდები,
არ არის გვიან.
ამაღამ ისევ
მოველით ვასოს...
— კეთილი! თქვენი
იმედი მაქვსო.

ფიქრებში წასულს
გამიტყდა ძილი,
უცებ მომესმა
კაკუნი ფრთხილი.
მიღიმის ვასო:
— რას გეტყვი ახალს?
იქნება გინდა
მამიკოს ნახვა?
— რას ამბობ, ძია,
თქმა უნდა ამას?
მითხარ, სად ვნახავ
საყვარელ მამას?!
— კარგი, ჩაიცვი,
წავიდეთ ჩქარა,
სანამდე დაბას
სიბნელე ფარავს.
— მე ჩვენთან, სხვენზე,
ერთ დაჭრილს ვმალავ,
წამოსვლას შესძლებს,
მოიკრებს ძალას!..

და ტყისკენ მალვით
მივდივართ სამნი,
ფარად ვიფარეთ
სიბნელე ღამის.

### პარტიზანებთან

მივდივართ,
ტყეა
ხშირი და ბნელი,
წინ მეგზურივით
მიგვიძღვის ქარი,
ბუნება ცისკრის
ნათებას ელის,
არავინ არ ჩანს,
არავინ არი.
...ძელმიწურიდან
გამოძვრა ვიღაც.
— რაზმის უფროსი
სად არი ჩვენი? —
ვასომ რატომღაც
ხმადაბლა ჰკითხა.
გუშაგმა თავი
ჩაჰკიდა წყენით.
— გუშინღამ, დნეპრთან,
დაიჭრა მძიმედ,
მაგრამ ექიმი
არ კარგავს იმედს.
ჩვენს თვითმფრინავებს
მოველით ახლა!
მამასთან ერთად
მოსკოვში წახვალ!

### ბოლოთქმა

ორმოცი წელი
ისე წავიდა,
არ ვივიწყებდი
დაბას წამითაც.
მახსოვდა ჩვენი
ხატა პატარა,
მასზე ოცნებამ
სად არ მატარა.
ვიგონებ სკოლას,
თანაკლასელებს,
მე მათ სახელებს
ახლაც ვახსენებ.
დღეს კი ჭაღარა,
გზებით დაღლილი,
სკოლის ეზოში
ვდგავარ ბაღდივით.
ვერას ამბავი
გავიგე გვიან...
თითქოს მის ნაცვლად
მე მომხვდა ტყვია.
მკერდში ანაზდად
ვიგრძენ ტკივილი,
ვდგავარ თოვაში
ცრემლით თვალსველი
და კვარცხლბეკიდან
მიმზერს ღიმილით
ჩემი მამაცი
თანაკლასელი.






ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 6

## „მშვიდობის მტრედი“

ამ რამდენიმე თვის წინათ მშვიდობის პატარა ამერიკელი ელჩის სამანტა სმითის ავიაკატასტროფაში დაღუპვის ამბავი რომ შევიტყვე, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, ჩვენი სასწავლებლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბისათვის გვეწოდებინა სამანტას სახელი. ჩვენი კომკავშირის კომიტეტის მდივანს გია ჩახნიანს გავენდე, მან კი ამის შესახებ დირექციას აცნობა. ინიციატივა ყველამ მოგვიწონა, მხარიც აგვიბეს.

სულ მალე ინტერკლუბის პრეზიდენტ კობა ჩორგოლაშვილთან ერთად შევადგინეთ კლუბის სამუშაო გეგმა, გასული წლის ჟურნალ-გაზეთებიდან ამოვიწერეთ ცნობები სამანტას ოჯახისა და საბჭოთა კავშირში მისი სტუმრობის შესახებ. შევაგროვეთ სურათები და შევადგინეთ პატარა ხელნაწერი ალბომი. მოვაწყვეთ დისპუტი თემაზე — „ჩემი ამერიკელი თანატოლი“, მეგობრული წერილები გავუგზავნეთ მოკავშირე რესპუბლიკების ზოგიერთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს.

24 თებერვალს კლუბის ინიციატივით ჩავატარეთ სკკპ 27-ე ყრილობისადმი მიძღვნილი ღონისძიება დევიზით „დაე, მუდამ იყოს მზე“. ღონისძიებას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ სასწავლებლის დირექტორის მოადგილე იდეურ-აღმზრდელობით დარგში რამაზ ადეიშვილი და ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაყვალა მამაგეიშვილი. სტუმრად მოწვეული გვყავდა საავტომობილო ქარხნის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ბახუტაშვილი.

ინტერკლუბის წევრებმა: მარინე შალამბერიძემ, ავთანდილ ჭითანავამ, შორენა ფაიქიძემ, პაატა ჯანგველაძემ, ნატო ნოდიამ, ჯონდო ბუბაშვილმა, ნინო მაღლაკელიძემ და მამუკა კოკელაძემ წაიკითხეს ლექსები და ჩანახატები მშვიდობაზე, მეგობრობაზე, სოლიდარობაზე, სამანტა სმიტზე. მათ ილაპარაკეს სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. სასწავლებლის გოგონათა გუნდმა შეასრულა სიმღერები მშვიდობაზე...

ღონისძიების დასასრულს სამანტა სმითის სახელობის ინტერკლუბის სახელით შევადგინეთ სამშვიდობო წერილი, მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რონალდ რეიგანისადმი. წერილს, მოწვეულ სტუმართან ერთად, ხელი მოაწერა სასწავლებლის ყველა მასწავლებელმა და მოსწავლემ.

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილი მშვიდობის ეს პატარა მტრედი ჩვენი გულის ნადებს ამერიკელ ხალხამდეც მიიტანს.

**ინგა ვაშაყმაძე,**

ქუთაისის 112-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე.

## ვიმეგობროთ, იქაბიელებო!

თერჯოლის რაიონის ჩხარის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ბევრი რამ იცოდნენ საუკუნის მაგისტრალის, ბამის მშენებლობაზე, ყოველთვის ადევნებდნენ თვალს მისი მშენებლების წარმატებებს, თანამემამულეების საქმიანობას დიად მშენებლობაზე. დიდი ინტერესი გამოიწვია მათში სატელევიზიო გადაცემათა სერიამ „მე საქართველო ვიხილე ბამზე“, ეკრანზე დაბა იქაბიაში მცხოვრებ ქართველ ბავშვებთან შეხვედრამ. გაიგეს რა, რომ ისინი ქართული მხატვრული ლიტერატურის ნაკლებობას განიცდიდნენ, ჩხარელებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ მათ.

საახალწლოდ საკმაო რაოდენობის წიგნებს მოუყარეს თავი, ამანათს გულთბილი ბარათიც დაურთეს და იქაბიაში, ქართველი ბავშვების სახელზე გააგზავნეს, არც იმერული ჩურჩხელებისა და ხმელი ხილის ჩადება დავიწყნიათ.

ამას წინათ ჩხარელმა მოსწავლეებმა იქაბიიდან წერილი მიიღეს. იქაბიის საშუალო სკოლის მესამე კლასის ხელმძღვანელი გ. მარშუკოვა წერს: „მადლობთ ყველაფრისათვის! ჩვენ მოხარული ვიქნებით თქვენთან დამეგობრებისა“.

ხოლო მესამეკლასელმა დათო მელქაძემ მოსწერა თავის თანატოლებს: „ჩვენ უკვე მეორე ამანათი მივიღეთ თქვენგან, მადლობა. ყველაფერი მოგვეწონა. ჩვენ გვყავს ქართველები, რუსები, უკრაინელები. ყველანი კარგად ვცხოვრობთ. ახლა აქ, გარეთ 30 გრადუსია. ვთამაშობთ თოვლში, ფეხბურთს კი — სპორტდარბაზში. ვემზადებით პიონერთა რიგებში შესასვლელად“.

მეხუთეკლასელმა ირმა კუპრავამ კი ჩხარის სკოლის მერვე კლასის მოსწავლეს ლია ყურულაშვილს მოსწერა: „მივიღე შენს მიერ გამოგზავნილი პატარა ბარათი, რომელმაც ჩამომიტანა საქართველოს სითბო და სიხარული. ლია, რა თქმა უნდა, შენ ჩემზე ბევრად უფროსი ხარ, მაგრამ მეგობრობისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. კლასში მარტო ორი ქართველი ბავშვი ვართ. სულ კი საქბამში 20 ქართველი ბავშვია. მე ბევრი წერილი მომდის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ყველას ვუგზავნი პასუხს. მე მეამაყება, რომ მდიდარი ვარ ქართველი ბავშვებით“.

**ვანო კუტალაძე,**

სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

თერჯოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი გალერეა

### ფანჯრები

მიყვარს ამ ქუჩაზე ჩავლა... ვიცი, რომ ერთი ძველისძველი სახლის ფანჯრები წუთით მაინც დამატყვევებენ. ისინი ადამიანის თვალებივით მიმზერენ და, ხანდახან ასე მგონია, ჩემი ფიქრიც კი ესმით.

ზოგჯერ ისე მინდა ჩავიარო, მათკენ არ გავიხედო, მაგრამ ვერ ვუძლებ ცდუნებას, და ხელ-ფეხ გათოკილივით წინ ნაბიჯს ვერა ვდგამ.

რატომღაც მგონია, რომ იმ ძველისძველ სახლში მოხუცი მუსიკოსი ცხოვრობს, რომელსაც ძალიან უყვარს ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი.

ცხოვრობს მოხუცი მუსიკოსი ყოველდღიური ცხოვრებით, საღამოობით, ქათქათა მოსასხამში გამოხვეული, ანთებული სანთლით ხელში სარკმელთან დგას და მოუთმენლად ელის კეთილი მუზის მოფრენას.

დნება სანთელი, „უთქმელობის დარდი აწამებს“. ბოლოს, სულ რომ ჩაიწვება, მოხუცს შთაგონება შეატოკებს. იგი როიალის სახურავს ახდის და პერგამენტივით თეთრი თითებით კლავიშებს ჯადოსნურ მელოდიად აახმიანებს.

მიყვარს ეს უხილავი მუსიკოსინეტავი ერთხელ მაინც შემახედა მის ოთახში. იქნებ ჩემს მისვლასაც ელის. დაე, მელოდოს. ღმერთმა ნუ მოუშალოს ხვალინდელი დღის იმედი, იცოცხლოს, იხაროს ქრჯოლის მომგვრელი მუსიკის სამყაროში. მე კი ამ ქუჩაზე ჩავლისას წუთით შევჩერდები ხოლმე, თვალს შევავლებ მისი სახლის ფანჯრებს, ადამიანივით ფიქრიანად რომ მიმზერენ...

ირმა ინაშვილი,
ბორჯომი, 1-ლი საშუალო სკოლა,
VIII კლასი



და-ძმა. ხათუნა დევიძე,
ქუთაისი, რკინიგზის მე-2
საშუალო სკოლა, VI კლასი.

### ივლისის ღამე

სიგრილით გალაღებული,
ჩუმად ჩურჩულებს ჭადარი,
აქვე ჭრიჭინებს ჭრიჭინა,
სადღაც შორს ყივის მამალი.
საცაა, გარიჟრაჟდება,
დღე დაგვიდგება მზიანი,
გაილღვება თავთავი,
მსუყე და ბარაქიანი.

### ზოოპარკში

გაკვირვება ვერ დავფარე,
როცა ვნახე მგელი,
აქეთ — რკინის გალიაში
დამწყვდეული შველი.
ნაღვლიანად შემცქეროდა
საცოდავი ჯიხვი,
გირჩებს ზედ არ უყურებდა
სევდიანი ციყვი.
მომვლელს ვთხოვე, რომ გაეშვა
მგელიც, შველიც, მელაც.
„ტყეს ხომ ვეღარ გაიცნობო,
რომ გავუშვა ყველა?“ —
მიპასუხა... და ვარჩიე
მაშინ გაჩუმება...
მაგრამ იმ ციყვს რომ ვიხსენებ,
მაინც მენანება.

მაია ოჩიგავა,
თბილისი, მე-18 საშუალო
სკოლა, VII კლასი.



წ ე რ ო   რატი მექვაბიშვილი,
7 წლის.

### ბუნების გამოღვიძება

მზემ სხივთა კონა გაშალა,
მიწა ნოტიო გათბა,
ტყეში ბურდღუნი გაისმა —
გამოიღვიძა დათვმა.
გამოიბერტყა ყურები
ნამძინარევმა მაჩვმა,
მწვანე თვალს ახელს ბალახი,
ხეზე კვირტები გაჩნდა.
კვლავ აციმციმდა მდელოზე
ჩვეული ცვარი დილის,
იღიმის მთელი ბუნება,
გაუფრთხა ზამთრის ძილი.

### გჯეროდეს

გჯეროდეს, არასოდეს მიგატოვებ,
უშენოდ ჩემი ყოფნა არ ეგების;
ფეხზე რკინის ქალამნებს ჩავიცმევ,
წყლულზე მალამოდ დაგედები.
სუსტ მხრებზე მძიმე ტვირთს
ავიკიდებ,
ვივლი წინ მყარი ნაბიჯით,
იმედებს გზადაგზა დაგიკემსავ,
შენთვის ათასად გავიჭრები.
შენს მაღალ ოცნებებს
ვუერთგულებ,

დაგჭირდეს? — დენთივით
ავფეთქდები.

გჯეროდეს, მამულო,
რაც ვთქვი, შევასრულებ,
გჯეროდეს, კელაპტრად აგენთები.

მაია ფაჩოშვილი,
ყვარელი, შილდის საშუალო
სკოლა, X კლასი.

## ჩემი სოფელი

ცაზე ღრუბლების ქაფერმკრთალებული ფარდა ჰკიდია. სჯობნის ღრუბელს მზე — იმ ფარდის იქიდანაც იჭყიტება. გაზაფხულია. ღობეების ძირებში ია და ენძელა ამობღუჯულა — ერთ ყურებად ღირს. შეხვალ ხეხილის ბაღში და კიდევ უკეთესი — უცებ დაგათრობს ყვავილების სურნელი. ყვავილები... და განა მარტო ხეთა ტოტებზე, ხეთა ქვეშ, მიწაზეც ყვავილების ფერადი ხალიჩა გაშლილა. ვაშლის ხეზე ერთი ამბავი აქვთ ჩიტებს. უხარიათ გაზაფხული, ერთმანეთს თავისებურად გადასძახიან, ეღლურტულებიან, ერთ ადგილას ახვავებენ ციცქნა ნისკარტებით მოზიდულ „სამშენებლო მასალას“ — ბუდეებს იშენებენ. ირგვლივ ახალგაღვიძებული მიწის მძაფრი სურნელი დგას. ზაფხულის.. თაკარა დღეებს გულგახსნილი ეგებება ჩემი სოფელი.

ნინო კვეკვესკირი,
გალი, მზიურის საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

## განწყობილება

თენდება. იღვიძებს ქალაქი. ფანჯრის რაფას ჩამოყრდნობილი დავყურებ მის ფერისცვალებას. მაღლიდან მზის თბილი სხივები მეალერსება. ზღვა ხელისგაწვდენაზეა... სულ ახლოდან ისმის მისი ზვირთების ტყლაშუნი, ქთოლიების ჭყლოპინი. იღვიძებს ჩემი ქალაქი და საოცნებო ფიქრის ბურუსში მხვევს მისი ეს ლამაზი გაღვიძება. ზღვის ტალღებს ჰგვანან ჩემი ფიქრები, გადი-გამოდიან, მღელვარებენ, აწყდებიან ნაპირს... და აუცილებლად... ჩემგან წასულნი ჩემშივე ბრუნდებიან. ვზივარ ასე და ვფიქრობ... რაზე? — ცაზე, მზეზე, სიცოცხლეზე, წუთისოფელზე, ადამიანებზე. და იმაზე, თუ რა არის სიცოცხლე, ის, რის ასახსნელადაც ჩემამდეც ამდენი უფიქრიათ და ამდენი მოუმოქმედებიათ ადამიანებს. მიჭირს ჩემივე დასმული კითხვებისთვის პასუხების გაცემა, აზრს ემოცია სჯობნის. ნაჩქარევად, გამოუცდელად გამოტანილი დასკვნები განწყობილებას მიმუქებს. რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო მეტი მიკვირს...

ზღვა კი ხმაურობს. მისი ტალღების ტყლაშუნი სასიამოვნოდ ხვდება ყურს — თითქოს მათი თავბრუდამხვევი, შთაგონებული ჩურჩულიც მესმის. სულ ცოტაც და... ზღვასავით ახმაურდება და ამღელვარდება ახალგაღვიძებული ქალაქიც — ჩემი ქალაქი. თენდება. მე ვფიქრობ...

ეკა ესათია,
სოხუმი, მე-5 საშუალო სკოლა,
VII კლასი.

## დაგბედებოდეთ მშვიდობა!

ჩამოიბანა ცამ პირი,
წვიმამ ჩარეცხა კლდენი,
მთაში გაცოცხლდა მდინარე,
ბარში ჩამორბის ლხენით.

ჩიტებმა ფრთები გაშალეს,
ლაღად დაიწყეს ფრენა,
ყვავილმა თავი ამოყო
და დაიღვარა ლხენად.

ნუკრმა ისწავლა კუნტრუში
და დედას დასდევს მინდვრად,
საამო ფიფქი ყვავილთა
ჩამოიბერტყა ხიდან.



დათუნიას გასეირნება. ხათუნა ზურაბიანი,
მახარაძე, მე-2 საშუალო
სკოლა, II კლასი.

მტრედი ღუღუნებს — მშვიდობა,
ქვეყნად სიკეთე უნდა.
ასეთი შეცა ულრუბლო
დაგბედებოდეთ მუდამ.

დარეჯან სუმბაძე,
თელავი, მე-4 საშუალო
სკოლა, X კლასი.



ნატურმორტი. ხათუნა ტერტერაშვილი.
თბილისი, მე-10 საშუალო სკოლა, VI კლასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ძირს რასიზმი! გიორგი ნანავა, 13 წლის.

## ზამთარი ტყეში

თეთრი ზამთარი
მოვიდა ტყეში,
თოვლის საბანი
გაშალა ტევრში.

კურდღელი ცქვიტი,
ცანცარა ბიჭი,
შეხტა სოროში,
ვითარცა ჩიტი.

ეშმაკი მელა
მიადგა სოროს,
რომ ვერას გახდა,
მოშორდა ბოლოს.

ხის ფუღუროში
ციყვუნა ზის
და აკნატუნებს
კაკალს და თხილს.

ბურდღუნა დათვი
ილოკავს თათს,
სიზმარში ხედავს
სანუკვარ თაფლს.

დაძრწის და დაძრწის
მშიერი მგელი,
შემოირბინა
უღრანი მთელი.

მეფობს ზამთარი
და ტყეში ცივა,
ციდან ფიფქები
ცვივა და ცვივა...

დინარა ჩაკვეტაძე,
წყალტუბო, გვიშტიბის საშუალო სკოლა, VI კლასი.

## ტყისმჭრელი და ასკილის ყლორტი

ერთი მთის ძირას ღარიბი ტყისმჭრელი იანოშ ერუში ხეს ჭრიდა. მისი ნაჯახის კაკუნი იქაურობას ახმიანებდა. ის იყო უნდა წამოექცია მოზრდილი ხე, რომ უცნაური წრიპინა ხმა მოესმა:

— მიშველეთ, ვიხრჩობი!

გაოცებულმა ტყისმჭრელმა მიმოიხედა და, ვერავინ რომ ვერ დაინახა, თავისი საქმე განაგრძო. ერთი-ორჯერ შემოჰკრა ნაჯახი ხეს და კვლავ მოესმა:

— დამეხმარეთ, მომაშორეთ ეს მორი!

იანოშმა ყურადღებით დააცეცა თვალები და დაინახა, რომ ერთი მორი დაგორებულიყო და ქვეშ მოექცია პატარა ასკილის ყლორტი.

— შენ... შენ ლაპარაკობდი?! — გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა ტყისმჭრელს.

— დიახ, მე, — მიუგო ასკილის ყლორტმა, — მომაცილე მორი, თორემ სულს გავაფრთხობ.

იანოში, ცხადია, ძალზე გაოცებული იყო — მას ხომ არასოდეს ენახა მოლაპარაკე მცენარე! მან ასკილის ყლორტს ფრთხილად მოაშორა მორი.

— დიდი მადლობა, ამ სიკეთეს არ დავივიწყებ, — წაიჩურჩულა გახარებულმა ასკილის ყლორტმა.

იანოშს გაეცინა და მხიარული სტვენით განაგრძო მუშაობა.

ადრიანი გაზაფხული მაისმა, შემდეგ კი ზაფხულმა შეცვალა.

ერთ დღეს დაღლილ-დაქანცული ტყისმჭრელი გზის პირას, ერთი აყვავებული ბუჩქის ძირში წამოწვა და ის იყო, ჩასთვლიმა, რომ უცნაური ხმა მოესმა:

— საფრთხე გემუქრება!.. საფრთხე გემუქრება!..

იანოშმა იფიქრა, მომეყურაო, მაგრამ კიდევ რომ გაიგონა ის ხმა, საბოლოოდ გამოფხიზლდა, ნაჯახი



ზაალ მარუაშვილი,
თერჯოლა, 1-ლი საშ. სკოლა, VI კლასი.

მოიმარჯვა, ყურადღებით გაიხედ-გამოიხედა და... შიშისაგან ძარღვე-ბში სისხლი გაეყინა — მის წინ შხამიანი ჭრელი გველი იკლაკნებო-და.

„ამასთან ხუმრობა არ ივარ-გებს!“ — გაიფიქრა ტყისმჭრელმა და მოახლოებულ უხსენებელს მთე-ლი ძალით დაჰკრა ნაჯახი.

— ყოჩაღ! — მოესმა იანოშს და მიხვდა: ასკილის ხმა იყო, მან რომ გაზაფხულზე გადაარჩინა. ასკილის ყლორტი ლამაზყვავილებიან ბუჩ-ქად გადაქცეულიყო.

**უნგრულიდან თარგმნა ლევან შავიშვილმა,**
**თბილისი, მე-60 საშუალო**
**სკოლა, VI კლასი.**

## გაზაფხულის შემობრძანება

**ნელა, ნელა, ნელა, ნელა**
**გაზაფხული მობრძანდება,**
**ნახეთ, ჩვენმა ენძელამაც**
**გაიღვიძა ნება-ნება.**
**ნაკადული მოჩუხჩუხებს,**
**ია ახელს დიდრონ თვალებს,**
**ცელქი სიო ველს და მინდორს**
**სულს უბერავს, აფრთიანებს.**
**ხეზე... დაბერილი კვირტი**
**გასკდომის წინ გარინდდება**
**და ყვავილი, როგორც ჩიტი,**
**— ფრიი, ფრი, ფრი —**
**გაფრინდება.**

**ქეთინო ქოქაშვილი,**
**სიღნაღი, ქვემო ბოდბის საშუალო**
**სკოლა, VI კლასი.**



**ქეთინო გოდერძიშვილი, 5 წლის.**

**წითელქუდა.**

## მონატრების გახსენება

ახლა ჰაერში გაზაფხულის მძა-ფრი სურნელი ტრიალებს. მწვანედ გაფოთლილან ხეები, ხანდახან მათ შორის ახლახან გამსკდარი კვირტი წითლად-ყვითლად გამოანათებს. მე კი მაინც... წლევანდელი პირვე-ლი თოვლი მახსენდება, ფიფქების ნაზ ქსოვილში წელს პირველად გა-მოხვეული თბილისი, ხის ტოტებ-ზე ჩამოსკუპებული, შემცივნებუ-ლი ბეღურები, ქვაფენილებს, სახურავებზე თხელ საბნად (...) ბული თოვლი, სკოლის ეზოშ(...) მართული ვეება ჭადრების (...) ხელება სილუეტები... პირ(...) თოვლი და დიდთოვლობის მ(...) რება... და, რატომღაც, ჩემი (...) ლის ორღობეების მონატრება (...) კაკლებით დაჩრდილული თო(...) ნი ვიწრო ორღობეების, ოდე(...) გრძლად ღრუბლებამდე (...) კვამლის, ბუხრებში წითლა(...) ღუებული ნაკვერჩხლის...

ხომ უცნაურია ზამთრის ი(...)

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 6

თი დღის დიდი მონატრების გახსე-ნება, როცა ჰაერში გაზაფხულის ასეთი მძაფრი სურნელი ტრიალებს, როცა ზედ ჩემს ფანჯარასთან ნე-ბივრად ფშვინავს და წითლად-ყვითლად გამონათებას ჩქარობს გაზაფხულის ალბათ სულ ბოლო კვირტი?!

**ხათუნა ტერტერაშვილი,**
**თბილისი, მე-10 საშუალო**
**სკოლა, VI კლასი.**

## დღეობა

**შენი დღეობაა,**
**სახე სიხარულით დაიმშვენე,**
**ნინცო,**
**ათი გაზაფხული,**
**ათი ყვავილობა დაიჩემე,**
**ნინცო.**
**მრავალ დღეობას გისურვებ,**
**მრავალ გაზაფხულს,**
**ნინცო,**
**მშობლების სიცოცხლეს,**
**ბებოს სიყვარულს,**
**ნინცო,**
**და დის საჩუქარს —**
**კოცნას სანუკვარს,**
**ნინცო.**

**ლალი გუგულაშვილი.**

დედოფალო, რას ინებებ საქორწი-ნო საჩუქრად?

მერე გავიგე, რომ ბექას სატრფოს მამის ნებით უცხო სოვდაგარზე ათ-ხოვებდნენ. საქმეს და სამშობლოს სჭირდებაო, უბრძანებია მამას. ამი-ტომ ჰგოდებდა ქალიც. მუხლი მოი-ყარა გამოთხოვებისას ოსტატმა, გა-დმოიღო თავისი ხელით მოჭედილი ოქროს ჩარჩოიანი „ვეფხისტყაოსა-ნი“ და მოწიწებით გაუწოდა ქალს. სარკმელში შემოპარული მზის სხი-ვები ჩარჩოზე ირეკლებოდნენ და ცისარტყელას ფერებით აციაგებდნენ ძვირფას საჩუქარს. თვალს სჭრიდა ასულის ცრემლებთან შერეული პა-ტიოსანი თვლების ციმციმი.

გამოართვა ქალმა წიგნი. ეამბორა ყდას და გადაეხვია სატრფოს. გა-მოიჭრა მერე გარეთ, მოახტა ბედა-



# ოპიზის ოსტატი

მხატვარი იოსებ სამსონაძე

ირინე ბალიაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

(ბექა ოპიზარის შეგირდის ჩანაწერებიდან)

„აწ ვინც (ამ წიგნს) იმსახურებდეთ, ღვთისგულისათვის ნუ დაგვწყევლით, არამედ თქვით — „უფალო, შეუნდე ცოდვანი მათნი“...

(წყაროსთავის სახარების მინაწერი)

ცხელა. რუხი თავმოჭრილი დევებივით დაყუდებულან ხავსმოკიდებული ლოდები და მონასტრის გარშემო ქაჯეთის სამეფოსავით მიუდგომელ ციხე-სიმაგრეს ქმნიან.

საღამოთი კიდევ არა უშავს, როცა ხეობიდან ნიავი დაქროლებს, მაგრამ დღისით სუნთქვა ჭირს. სიცხით ირგვლივ ყველაფერი გაუდაბურებული და დადუმებულია. კიდეებშემომჭკნარი ფოთლები გამხმარ ყუნწებზე მიჭყლეტილან და ნელი ტოკვითღა ამჟღავნებენ სასიცოცხლო ძარ-



ქარაველა

თერჯოლა, 1-ლი

მკვიდრად ნაგები საყდარი მზის დაკურჩხულ სხივებს შიგნით არ უშვებს. მხოლოდ კამარის ქვეშ ამოჭრილი მოგრძო სარკმელებიდან ჭიატობენ ცრიატი სხივთა კონები.

გვერდით სენაკში დიდოსტატი ბექა ოპიზარია სარეცელს მიჯაჭვული. ავადმყოფობამ დარია ხელი.

უემური თუ შეეყარაო რამე, — წუწუნებს ბერი მიქაელი. — მისანი თებრონე მოვიყვანოთო, — წარამარა გაიძახის, მაგრამ არ უშვებს ბექა ოსტატი. წევს გაყუჩებული. დარეჯანის ძისავით გადაუშლია მხარ-ბეჭი და ...ი ვაებიანი ამოოხვრა დროდა...ო დადუმებულ არემარეს აფ...ლებს.

...ავრი მომდის საკუთარ თავზე. ნე...ა შემეძლოს რითიმე შველა-მეთ...ჩავძახი გულს, მაგრამ სასიკეთოს ...ვერს შთამაგონებს განგება.

...ნატრელი გაგვიხდა ვარძიის გან...ული აფთიაქი. როცა ჩემი ოსტა... მხიარულ და კეთილ გუნებაზე ...ანდებოდა, ენამოუღლელად მი...ოდა სასწაულმოქმედი წამლე... იშვიათ ღირსებაზე, მაგრამ ვი... ახლა გამკითხავი, სწორუპოვარ ...ატს აქიმი დააყენოს თავს და ...ციანი სული შთაბეროს. არადა, ...წამალი გინდა თურმე, იმ აფთი... , არ მოიძებნებოდეს. ამბობენ, თამარ დედოფალს საჩინეთის და ინდოთ ქვეყნიდან განთქმული ჰაქიმები მოუწვევია და სამკურნალო ბალახის წვენსა და მალამო წამლებს ამზადებინებს კოლხეთის მეფის ასულის, გრძნეული მედეას სახელზე შეწირული აფთიაქისთვისო.

ვზივარ მდუმარე სენაკში გამოკეტილი. ზაფხულის თაკარა დღეს ვემალები და თავში ათასგვარი აზრი მიტრიალებს. მართლაც, წყალობის თვალით გადმომხედა უფალმა, რომ ბექა ოპიზარის შეგირდობა დამანათლა. მიქაელ ბერმაც დიდი სიკეთე გამიწია. შვილივით მივლის დაობლებულს და დიდი გულისყურით ცდილობს სასიკეთო გზაზე ჩემს დაყენებას. წერა-კითხვა იმან შემასწავლა, იმან ამიხილა თვალები და დამაჭერინა წიგნი ხელში. ის კი არა, იმდენად გამიტაცა მწიგნობრობამ, რომ ჩემს საყვარელ ხელობას — ხატვას თავი მივანებე და წერა-კითხვას მივყავი ხელი. ხანდახან ბერი სიყვარულით კიდეც დამცინის, — არიქა, ბიჭო, იოანე ფუკარელისძეს არ აჯობოო, — მაგრამ არად მწყინს მისი ხუმრობა.

— გადამწერელს მწერალი არ სჯობია-მეთქი? — ვეპაექრები ლაღობით და ვბეჯითდები.

●

ამ ერთი თვის წინათ ბექა ოპიზარმა ტბეთის ეპისკოპოსის, იოანე მტბევარის შეკვეთით წყაროსთავის სახარების ყდის მოჭედვა დაივალა. სახარების ყდაზე ორასი დრამის ვერცხლი, ოცი დრამის ოქრო და უთვალავი თვალ-მარგალიტი დაიხარჯა თურმე. ჩემი ოსტატი პატიოსანი კაცია. ღვთის მოქანდაკე ბერძენი ოსტატივით ოქროს გაფლანგვა კი არ დაუწყია. ყოველდღე მისხალ-მისხალ წონიდა ძვირფას თვლებს და გულდაგულ ითვლიდა, სად რამდენი დასჭირდებოდა.

ყდის მოჭედვაში მეც მიმიძღვის წვლილი. მართალია, ოსტატი ჯერ მნიშვნელოვან საქმეზე არ მიშვებს, მაგრამ ჩემით ვცოდვილობ, ფეხებში ვედები და მინდა თავი მოვაწონო. ოსტატი ისეთი კაცი არ არის, რომ ვერ გაიგოს ჩემი საწადელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შვილო, დათოო, — მეუბნება,— ოქრომჭედლობა იმგვარი ხელობაა, მარტო პატიოსან კაცს რომ შეჰფერის, პურს კი გაჭმევს, მაგრამ შეიძლება თავიც გადააყოლოო.

ბექა ოპიზარს მეფეც აფასებს და ერიც. თამარ დედოფლისთანა მოწყალე და სათნო განმგებელი მეორე არ მოიძებნება დედამიწაზე.

ამ ორი წლის წინათ მისი ნებით და ანჩის ეპისკოპოსის რკინაელის შეკვეთით საშინელი ხატი ჩამოასვენეს კლარჯეთს. მოოქროვილი ჩარჩოთი უნდა შეემკო ოსტატს. მისი მოჭედვისათვის საჭირო ხარჯებიც თვითონ გაიღო დედოფალმა. მე ვერ მოვასწარი მეხილა იმ ხატის ბრწყინვალება, მაგრამ მრავალს ამბობენ მის სიდიადეზე.

— ეს უნატიფესი ხელოვნების საიდუმლოა, სევდის ბალიშზე დასვენებულიო, — გამანდო მიქაელ ბერმა,— ჩუქურთმებითაა შემკული და პაწაწინა რტოთა ბწკარედებით ჩახლართულიო.

თვითონ ოპიზარს თავისი ნამუშევრით მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება არ ეტყობა.

— რასაც სული მოითხოვს, მის შექმნას გიკრძალავენო, — შესჩიოდა ერთხელ ღამენათევი მიქაელს, — შემოქმედს სივრცე და სინათლე ესაჭიროებაო.

— სივრცე-სინათლის მეტი რაა ამ დალოცვილ მიწაზე, მაგრამ იმასაც რომ გიზომავენო, — ამოოხვრით მიუგო სწავლულმა ბერმა.

ჯერ ვერა, და მერე გავიგე მათი ნაუბარი. შურიანსა და ოხერ კაცს რა გამოლევს ქვეყანაზე. ბექასაც მტრობენ თურმე ზოგიერთი ავყია ხელოსნები. მწვანე ხვლიკებივით დაძვრებიან ათაბაგების და მხარგრძელების ენატანია მსტოვრები და ჭორს უზიდავენ კათალიკოსს, ბექა ოპიზარს უფრთო, შიშველი ანგელოზების ხატები უჭედია, წმინდა ნინოსთვის შარავანდედი მოუშლია და თავისი დის მარეხის სახე დაუხატავსო.

ამგვარმა ჭორებმა შეიწირა დიდი ბეშქენიც. ამბობენ, შეშურდათ მისი ოსტატობა და საწამლავით მოუსწრაფეს სიცოცხლეო. ზოგიერთს ბეშქენ და ბექა ძმები ჰგონია, ზოგსაც მამა-შვილი, მაგრამ თურმე ხეირიანად არც იცნობდნენ ერთმანეთს. მხოლოდ დიდმა ოსტატობამ გაუთქვა სახელი და უსისხლოდ დაანათესავა ისინი.

წუხანდელი მიწისძვრით შეშინებულს ამ დილით უთენია გამეღვიძა. მაშინვე გარეთ გამოვვარდი. ერთი სული მქონდა დამენახა, რომ გარეთ ჩვეულებრივად ყვავილდებოდა სიცოცხლე და ჩვეულებრივ ფერადდებოდა ზეცა. მიმოვიხედე გარშემო და შვებით ამოვისუნთქე. დავურბინე აცრემლებულ ბალახს, მერე მწვანიანზე გავიშოტე და კამკამა სივრცეს თვალი გავუშტერე.

— ბიჭო, დათო! ბიჭო, დათო! — მომესმა ბერის ყვირილი — შე უღმერთო, დილის ლოცვა არ გითქვამს და ნამიანზე რას კოტრიალობ, გაცივდები.

ახლა ვლოცულობ-მეთქი, გავუღრიჭე მიქაელს, მაგრამ იმას აგრე ადვილად თავიდან ვერ მოიშორებ. დაეყუდება ჩემს წინ ჯიუტად და ვიდრე დაუჯდომელს არ მალოცვინებს, არ მომეშვება.

ლოცვებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ხანდახან თვალს რომ გავახელ და ტოროლების წკრიალი ჩამწვდება, გული არ მიდგება. ჯერ გარეთ გამოვვარდები, ახლად გაღვიძებულ ხმელეთს და ცას მოვისურვილებ ხოლმე და მერე სალოცავად ვიცლი.

ჩემი ოსტატიც თურმე ჩემსავით ფიქრობს, — დაანებე თავი, ბეროო!— ურჩია ერთხელ, — ამას აღმაფრენა ჰქვია. ხელოვანს შთაგონება თუ ეწვია, უკეთეს დროს ვერც ინატრებს, ღმერთსაც ასიამოვნებს და ერსაცო.

გაეცინა მიქაელ ბერს.

— ესეთი ხალხი ხართ ეს შემოქმედნი. ღმერთიც თქვენ გქვიათ და მისი შემქმნელიცო.

მიყვარს ჩემი ოპიზარი. მისი თითოეული სიტყვა მიყვარს და თითოეული გაჭედილი ხატი. რას არ წააწყდებით მის სამუშაო სენაკში? მარტო ფრთაფარფატა ანგელოზებს და ღმერთებს კი არა, ერთხელ ჩუმად შევესწარი, როგორი სასოებით ქმნიდა უცნობი ქალის ხატებას.

... დიდგვაროვანის ქალი ჩანდა. ტანთ საუცხოო ნარგიზისფერი აბრეშუმის კაბა ემოსა და აღერილ კისერს ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს ჯვარი უმშვენებდა. ამხედრებული გვეახლა ოპიზას. გაქაფული ცხენი მოაგდო ბაღის კართან და მბრძანებლურად მკითხა, სად არის შენი ოსტატიო.

გამოეგება თვითონ ოსტატიც. მკლავდაკაპიწებული, წინსაფარაფარებული. ხელთ შერჩენოდა ჯერ ისევ დაუმთავრებელი ნამუშევარი. დაინახეს ერთმანეთი და გადაესკვნენ ნესტან-ტარიელივით. სიმწრის ცრემლებს იწურავდნენ თვალთაგან. ულამაზესი თვალები ჰქონდა ქალს. ანჩის ხატზე გამოსახული წმინდა მარიამივით ნაღვლიანი და წამწამდახრილი.

— ჩემო ბექაო, — მდუღარებდა ქალი, — ჩემო ჩუქურთმის მჭრელო, ჩემო ღიმილის მჭრელო, სიყვარულის და სიძველის რაინდო, ჩემო ბექაო! — ოჰ, რა სიტყვებს აფრქვევდა. აუტანელი მწუხარებით აგვევსო გული. გვეტირებოდა იმათ შემხედვარე მე და მიქაელ ბერსაც. ბექა ოპიზარი სატრფოს უმშრალებდა ცრემლებს, მაგრამ თვითონაც წამწამები ენამებოდა. შეიყვანა მერე სახელოსნოში, დაათვალიერებინა მრავლადნაჭედი ქმნილებანი და სევდიანად ჰკითხა, — მითხარი, ჩემო დედოფალო, რას ინებებ საქორწინო საჩუქრად?

მერე გავიგე, რომ ბექას სატრფოს მამის ნებით უცხო სოვდაგარზე ათხოვებდნენ. საქმეს და სამშობლოს სჭირდებაო, უბრძანებია მამას. ამიტომ ჰგოდებდა ქალიც. მუხლი მოიყარა გამოთხოვებისას ოსტატმა, გამოიღო თავისი ხელით მოჭედილი ოქროს ჩარჩოიანი „ვეფხისტყაოსანი“ და მოწიწებით გაუწოდა ქალს. სარკმელში შემოპარული მზის სხივები ჩარჩოზე ირეკლებოდნენ და ცისარტყელას ფერებით აციაგებდნენ ძვირფას საჩუქარს. თვალს სჭრიდა ასულის ცრემლებთან შერეული პატიოსანი თვლების ციმციმი.

გამოართვა ქალმა წიგნი. ემბორა ყდას და გადაეხვია სატრფოს. გამოიჭრა მერე გარეთ, მოახტა ბედა-



ურს და როგორც მოგვევლინა, ისევე გაქრა უჩინრად.

მას შემდეგ აიკვირაძლა ოსტატმა სამუშაო, ჩავარდა ლოგინად და გულდაკოდილი ელოდება აღსრულებას.

ინახულა ტბეთის ეპისკოპოსმა, პირქუშმა, ზვიადმა კაცმა. მოაკითხა თავის შეკვეთას. გაოცდა ნაკეთების სრულყოფით და სინატიფით.

„ვინც ცუარი ანუ ღილოკილოი დააკლოს და შეუცვალოს რაიმე ამ ნაჭედს, წყეულ იყოს მისი მკვდარი და ცოცხალი ერთად" — დიდი ზარზეიმით ამოიკითხა სამარადისო სახსენებელი წარწერა ოსტატისა. ჩაიმუხლა იოანე საფარელმა ოპიზარის სარეცელთან და მოწიწებით ემბორა შუბლზე. წამოდგა მერე, მოატანინა სათუთად ნაკერი ხავერდის პალიში, ჩიტისთვალა ლილებით მოთვალმარგალიტებული და დაასვენეს ზედ სახარება.

— ამინ! — გუგუნებდა დარბაზი, — ამინ! — ბანს აძლევდნენ დაჩოქილი ბერკაცები და ერისკაცები.

●

გარეთ კი ცხელა, ცხელა. გაავებული გნიასებენ კუტკალიები და სიფრიფანა ფრთებს აჭრიალებენ ჭრიჭინები.

მონასტრიდან კარგა დაშორებით, გადასახედში ყოველ ნაბიჯზე ყრია ვეება ქვები. მიდიხარ და გეჩვენება, გიპყრობს, იქნებ ჯადოქრის ხელითაა აქაურობა გაქვავებული, იქნებ ჯადოქრის წკეპლაა საჭირო მის გასაცოცხლებლად. მაგრამ სინამდვილე ყველაზე ძლიერია.

— არავითარი სასწაული არ ხდება. მილიონი წლების განმავლობაში ასე მდუმარებდნენ ეს ლოდებიო, — მიხსნის ხოლმე ბერი მიქაელი.

ვზივარ და ვფიქრობ.

— საოცარია, რამ შექმნა ეს სამყარო. ნეტავ სხვაგანაც არსებობენ ჩვენნაირი ადამიანები?

მახსოვს, ძალიან პატარა რომ ვიყავი, ვარძიასთან ახლოს ვცხოვრობდით. ერთხელ თხების ძებნაში შემომაღამდა და ფეხდაფეხ გავუდექი მტკვრის ნაპირს. ამოცურდა პირგავსებული, დარბაისელი მთვარე და იოანე ნათლისმცემელივით დაიყენა გარს ნათელი. ზედ ფუმფულა ღრუბლებივით, გორა-გორა აჩნდა თეთრი ლაქები. გზას მინათებდა, გვერდით მომყვებოდა და მაიმედებდა. მაშინ მეგონა, რომ შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, არტანუჯს თუ ჯავახეთს სხვადასხვა მთვარე ანათებს-მეთქი, მაგრამ ახლა გავიგე, რომ მთვარეც და დედამიწაც ერთადერთი ყოფილა ქვეყნიერებისათვის.

მკვდრული სიჩუმე იდგა ხეობაში. სადღაც, ქვაბულში გულისწამღებად კიოდა ჭოტი. ავხედე უამრავი ვარსკვლავით მოკირწყლულ ზეცას, და უცებ დავინახე, რომ მოწყდა ერთი მსხვილი შუქიანი ვარსკვლავი, წამოვიდა ჩემკენ, ჩამიქროლა თავპირის მტვრევით და იქვე, ახლოს, ბუჩქებში ჩაეცა. ჯერ გამიკვირდა, ცეცხლი რატომ არ აბრიალდა-მეთქი, მაგრამ მერე სულასწრაფებული იქითკენ გავექანე და ფეხისგულები დავიჩეჩქვე წვეტიან ქვაღორღზე სირბილით. ვარსკვლავი აქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე მეგულებოდა, მაგრამ ვერ მივაგენი. ვარსკვლავის მაგივრად იმ ადგილას მხოლოდ პატარა, ვერცხლისფერი ტბა კამკამებდა, რომლის ზედაპირიც მშვიდად ირეკლავდა ქვეყნიერების მნათობს. მერე გავიგე, რომ ამ ტბას

თურმე „თამარის ცრემლებს“ ეძახდნენ.

ბავშვობაში მეფის ასული ჩემსავით დაკარგულა და იმდენი უტირია, რომ ცრემლებისაგან ტბა დაუყენებია. როცა ბექა ოპიზარს იმ ტბის ამბავი ვუამბე, გულიანად გაეცინა:

— ერთი პატარა გოგოს ცრემლებს თუ ამხელა ტბის დაბადება შეუძლიათ, მაშინ ყველა ქალი ერთად ალბათ იმდენ ტბას დააყენებს, რომ მთელი სამყარო ჩაიძირება მასშიო, — მითხრა სევდანარევი ღიმილით.

●

წუხელ ოსტატმა დამიბარა თავისთან. მიმატანინა „ვეფხისტყაოსანი“ და მწუხარებით მითხრა, — წამიკითხე ის ადგილი, სადაც წერია „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსაო“.

ვუკითხე და ვუკითხე წიგნი. წაკითხვა არც მჭირდებოდა, უკვე ზეპირად დავისწავლე თითქმის, მაგრამ მისი კითხვისას მუდამ ერთნაირი გაოცება მიპყრობს ხოლმე. ამის დამწერი ჩვეულებრივი ადამიანი როგორ იქნება-მეთქი? — ერთხელ ოსტატსაც ვკითხე.

გაეღიმა ბექას — იცი? როცა შოთა ამ წიგნს წერდა, თურმე ეშმაკი ეჯდა მხარზე და ის კარნახობდაო,— მომიგო მხიარულად.

მივხვდი, ჩემი ოსტატი ჩვეულებისამებრ ხუმრობდა, მაგრამ მაინც გამისკდა გული. წარმოვიდგინე პატარა, რქიანი არსება და შემეშინდა. ახლა ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ კუდიანებსა და ავსულებზე, მაგრამ ბექას არ აშინებს ამგვარი მონაჩმახები. მხოლოდ მიქაელი იწერს ხოლმე გაცხარებული პირჯვარს და „ფუი ეშმაკს“, „ფუი ეშმაკსო“, — გაიძახის.

— მითხარი ერთი, ძმაო მიქაელო, — ჰკითხავს ხოლმე ოსტატი, — ღმერთი და ეშმაკი ერთმანეთისგან რით განსხვავდებაო, — შეშინებული ბერი შეცბუნებით ასავსავებს ხელებს, — ეგეთი კითხვა მკრეხელობაა, ღმერთი გიწყენს, როგორ გაბედეო, — მკაცრად ტუქსავს ოქრომჭედელს.

— პასუხს ვერ მაძლევ და იმიტომო, — ეცინება ბექას. — ღმერთი შეყვარებულთა და ცოდვიანთა სულის სანუგეშებლად არის მოვლენილი, თორემ ადამიანებს ერთი რწმენა და ერთი ღმერთი ჰყავთ ქვეყანაზე, ეს მათი სამშობლო და მათი ენააო.

თავმოდრეკილი დადგება ხოლმე ბერი. აღაპყრობს ხელებს და ბუტბუტებს გამმაგებული, — ღმერთო, შეუნდე, რამეთუ არ იციან, რასა იქმანო!

ვუსმენ ორთა პაექრობას და ვფიქრობ: მართლაც რა ხმოვანი, რა მეტყველია ჩვენი ენა. ნეტავი ვიცოდე, უცხოელის ყურისთვისაც ისევე სასიამოდ ჟღერს?

— თათარს რომ ჰკითხო თავის ენაზე, ისიც მაგას მოგიგებსო, — მარწმუნებს მიქაელ ბერი, — ყველა ერს თავისი ენა ტკბილი ჰგონიაო.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემი ენა რომ ყველაზე ტკბილია, ამაში არც მე და არც ბექა ოპიზარს ეჭვი არ გვეპარება. გადმოიღებს ხოლმე ჩემი ოსტატი ხარის ტყავში ჩასმულ სქელ წიგნს და მიკითხავს ლოცვანივით — „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა, ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა გარდა ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. მარცვალ-მარცვალ ვიხსომებ თითოეულ სიტყვას და ბექა ოპიზარივით ვცდილობ გულის ფიცარზე დავიწერო. მიქაელ ბერი კი კვლავ უჩინოსავით დაბორიალობს ვრცელ დარბაზში და ბუტბუტებს, — ღმერთო, აკურთხე ენა ჩვენი, ღმერთო, ადიდე სჯული ქართველი ერისა...



●

თანდათან ჩამობნელდა სენაკში. ავანთე ჭრაქი, მოვიდგი გვერდით და ისევ მოვიმარჯვე კალამი, მაგრამ არ დამცალდა. ყური მომჭრა ჩუმმა კაკუნმა. წმოვიჭერი შეშინებული, ბექას სამყოფელის კარი მცირედ შევაღე და უკუვდექი

გამგელებული მუშაობს ჩემი ოსტატი. ხელში მოუმარჯვებია ლურსმანივით წამახვილებული ნემსისწვერა საჭრეთელი და უკაკუნებს ჩაქუჩს. შემომხედა ამღვრეული თვალებით, ზაფრანისფერმა გადაჰკრა ლოყებზე. უჟმურშეყრილივით აუცახცახდა გრძელი წვერი. მივუახლოვდი ჩუმად, ფეხაკრეფით, დავღუნე თავი და დავინახე, უკვე ამთავრებდა მოოქრული ვერცხლით გაწყობილი სახარების ჩარჩოს მოჭედვას. „ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი“, ამოეტვიფრა ოსტატს უკანასკნელი სავედრებელი. ენა ვეღარ მოვატრიალე, დავიმუხლე მის წინაშე და ჩავიჩურჩულე, — ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს, ოსტატო ბექა!

შემომხედა ოსტატმა. ფრესკიდან გადმოსული ღვთის კაცის ღიმილით გამიღიმა და თავზე დამადო ხელი...

ვზივარ ისევ ჩემს მყუდრო სენაკს. ფარვანას ჩრდილივით დაფარფატებს სანთლის ალი. სიჩუმეში გარკვევით მოისმის მიწის გუგუნი. უცაბედად ამოვარდნილი ქარაშოტი ანგრევს არემარეს და აბობოქრებული ღრიალებს ყალყზე შემდგარი მდინარის ხეობა.

შიშით ვთრთი და ვკანკალებ, მაგრამ ვერსაით წავუვალ ბედისწერას. მაგრად ჩავბღუჯე ბატის ფრთა. ტუჩები მოვკუმე და მოსალოდნელ განსაცდელს მედგრად დავუწყე ლოდინი. რაც უნდა მოხდეს, არ გავაგდებ კალამს ხელიდან. მე ჩვეულებრივი მოკვდავი კი არა, ბექა ოპიზარის მემატიანე ვარ და ჩემი ვალია, გადავარჩინო მისი სახელი.

მიწა კი გუგუნებს, ღმუის. გმინავს შეშფოთებული ოპიზა, ხოლო ნახევრადჩამქრალ სენაკში ჩუმად ჭრიალებს წმინდა საჭრეთელი:

„ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი, ბექა ოპიზარი!“

# სიმღერა საქართველოზე

მუსიკა რუსუდან ჩხაიძისა

ტექსტი გიორგი წერეთლისა






საქართველოზე სიმღერა
მინდა და კიდეც ვმღერივარ,
მე ჩემს მიწაზე გაზრდილი
ლერწმის პატარა ღერი ვარ.

მისამღერი:

უნდა ჰქუხდეს და გრგვინავდეს
მის სადიდებლად ჰანგები,
ციური ხმებით ნაკურთხი,
ნაკარნახევი განგებით.
გულიდან მისი დიდება
ბაჯაღლოდ ამობრწყინდება,
მშობელ მიწისთვის სიმღერა
ნეტავი ვის მოსწყინდება!

მისამღერი:

უნდა ჰქუხდეს...

თუმცა მამულზე სიმღერის
მთქმელი ამ ქვეყნად ბევრია,
მაგრამ ბულბულის გალობას
სულ სხვა გემო და ფერი აქვს.

მისამღერი:

უნდა ჰქუხდეს...



# ნიჩბები და ილქანი



რაბინდრანათ თაგორი

მხატვარი
დიმიტრი ზარაფიშვილი

მაშინ ქვეყანაზე მშვიდობა და სათნოება სუფევდა... მაგრამ ერთხელ ერთ ნავზე ილქანსა და ნიჩბებს ჩხუბი მოუვიდათ. ნიჩბები აჴმაურდნენ, მენავე მოძებნეს და უთხრეს: „მეტის ატანა აღარ შეგვიძლია, ეს შენი ილქანი თავს გავიდა, ნახე, როგორ ყოყოჩობს, როგორ იბერება და თავს გვამეტებს! აქაოდა, მაღალი მდგომარეობა მიჭირავსო, ჩვენ მდაბიოებს გვეძახის. ნუთუ იმიტომ ვართ მდაბიონი, რომ დღედაღამ ნავის ქვედა ნაწილში ვმუშაობთ და დაუღალავად მივაპობთ წყალს ნავის წასაყვანად? ის კი არაფერზე ფიქრობს, არაფერზე ზრუნავს და თავისთავის გარდა არაფერი ედარდება! ნუთუ ამიტომ არის ის ჩვენზე მეტი? შენ განსაჯე, ვინ უფრო საჭიროა, ჩვენ თუ ეგ ამპარტავანი ილქანი. თუ ჩვენ უმდაბლესი არსებანი ვართ, აი, მუშაობაზე ხელს ავიღებთ და ვნახოთ, უჩვენოდ როგორ იცურავებს შენი ნავიო“.

უსიამოვნება არ შემხვდესო, მენავემ განზე გაიყვანა ნიჩბები და ჩურჩულით დაუწყო რწმუნება: „ყურს ნუ უგდებთ ბებერი ილქნის ლაყბობას! ხომ იცით, როგორი პატივმოყვარეა. თქვენ კი ყოჩაღები ხართ, საიმედოები, თქვენ რომ კარგად არ იმუშაოთ, ნავი დადგება. მაგ ილქნისთვის კი, თუმცა თავი დიდად მოაქვს, პატარა გრიგალიც საკმარისია, რომ ჩაიფუშოს, ჩაიჭმუჭნოს და ბაქანზე ჩაიშალოს. მაშინ, გაგიხარია, ხმა უწყდება, ლაყბობის თავი აღარა აქვს. თქვენ კი, ნიჩბებო, მწუხარებასა და სიხარულში, გაჭირვებასა თუ დალხინებაში, აქა თუ სხვაგან, ჩემი ერთადერთი იმედი ხართ. ნუ გეწყინებათ, ის რომ მაღლაა და იბერება; დროდადრო ამ დიდკაცური ქედმაღლობის ატანაც შეიძლებაო“.

მენავეს ძალზე ეშინოდა, ვაითუ ილქანმა ჩემი სიტყვები გაიგონაო, და ახლა ილქანს ჩასჩურჩულა ყურში: „ბატონო ჩემო, აბა შენ ვინ შეგედრება? ვინ იტყვის, იმისათვის მუშაობდე, რომ ნავი წაიყვანო? ეგ ხომ შავი მუშების საქმეა. შენ მხოლოდ იმას აკეთებ, რაც შენ მოგესურვება, შენი მსახურნი კი გემორჩილებიან: ხოლო როცა იღლები, დასასვენებლად წამოწვები. ყური არ ათხოვო ამ ბრიყვი ნიჩბების ყბედობას. ისე არიან დაბმულნი, რომ რაც უნდა ეცადონ აწყვეტას, როგორც უნდა იტრიალონ წყალში, მუშაობის მეტს ვერაფერს მოახერხებენო“.

რა გაიგონა ასეთი ქება, ილქანი კიდევ უფრო გაიბერა, გამედიდურდა, მთქნარებით დაუწყო ცქერა ცასა და ღრუბლებს.

მაგრამ აი, ამინდი შეიცვალა. ნიჩბები ძვალმსხვილნი არიან. ჯერ კიდევ მორჩილად ხრიან ქედს, მაგრამ დღეს თუ არა, ხვალ თავს აიღებენ, მაგრად მიბეგვავენ მეტიჩარა ილქანს და გათელავენ. და მაშინ ყველა გაიგებს, რომ ქარიშხალსა და უამინდობაში, მოქცევისა თუ უკუქცევის ჟამს მხოლოდ ნიჩბებს მიჰყავდათ ნავი...

თარგმნა ირ. გეგეჭკორმა






# მზე თან გამყვებათ ზაფხულის გზებზე

კაერის თბილ ტალღებს შეურია და თავის საზაფხულო სურვილებს ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინათ გამოაყოლა რჩევა მზემ — ზაფხული გვიახლოვდება, მოემზადეთ, არ დაიზაროთ, პიონერულ კალენდარსაც ჩახედეთ და ეს ზაფხულიც კეთილი საქმეებით დაიწყეთო...

ჰოდა, სანამ თითოეული თქვენგანი ზურგჩანთას მოიკიდებდეს ან, პიონერთა ბანაკში წასასვლელად გამზადებული, ჩემოდანში, საგზურთან ერთად, სხვა აუცილებელ ნივთებსაც ჩაალაგებდეს, მზე ისევ ჩაგჩურჩულებთ — აბა, თქვენ იცით, სადაც არ უნდა ისვენებდეთ, თქვენებურად იაქტიურეთო!

პიონერთა ბანაკში კი მართლაც ბევრი რამის გაკეთება მოგიწევთ: სხვა რომ არაფერი, შეგახსენებთ, რომ 8 ივნისს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდებოდა საბჭოთა კავშირის გმირს ოლეგ კოშევოის, თქვენთვის ცნობილი კომკავშირული იატაკქვეშა ორგანიზაციის „ახალგაზრდა გვარდიის" ერთ-ერთ ორგანიზატორს. ამიტომაც, ნუ დაგეზარებათ და ჩემოდანში ალექსანდრე ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიაც" ჩადეთ, ვინ იცის, მასში ამოკითხულმა ნაწყვეტებმა როგორ გაალამაზოს თქვენი 8 ივნისის საღამო.

18 ივნისს გამოჩენილი საბჭოთა მწერლის მაქსიმ გორკის გარდაცვალებიდან 50 წელი სრულდება. ამ დღეს სასურველია რუსული ლიტერატურისადმი მიძღვნილი ზეიმი გამართოთ; გაიხსენოთ მაქსიმ გორკის ნაწარმოებები, ისიც, თუ მისი რომელი ნაწარმოებები დაიბეჭდა თბილისში პირველად.

1941 წლის 22 ივნისი. საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის დღეა. ამ დღეს დაიწყო ჩვენი ხალხისთვის დიდი სამამულო ომი. ბანაკში მოიწვიეთ ომის ვეტერანები. მოძებნეთ და შეხვდით მათ, ვინც სამშობლოს ძნელბედობის დღეს ცეცხლის წვიმას საკუთარი მკერდით აღუდგა. ჩაიწერეთ მათი მოგონებები, დაღუპულთ კი დუმილის წუთით, შინმოუსვლელთა ობელისკებთან ყვავილების მიტანით მიაგეთ პატივი.

28 ივნისი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა დღეა. თუ მათ მოწვევას ვერ შეძლებთ, ეს დღე ნორჩ ტექნიკოსებს, ჩხირკედელებსა და ნორჩ გამომგონებლებს დაუთმეთ, მათი ნამუშევრების გამოფენა მოაწყვეთ, ფანტასტიკურ პროექტთა დაცვა გამართეთ.

29 ივნისი ახალგაზრდობის დღეა, ამ დღეს ალბათ მოწინავე ახალგაზრდებს მოიწვევთ, მოისმენთ მათ ნაამბობს იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვთ მათ და მათ თანატოლებს მე-12 ხუთწლედის პირველი წლის წარმატებებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

სხვა მხრივაც არ გამოგრჩეთ 29 ივნისი. სწორედ 115 წლის წინათ, 1871 წლის 29 ივნისს დაწერა ფრანგმა პოეტმა ეჟენ პოტიემ თავისი ცნობილი „ინტერნაციონალი", რომელიც შემდეგ საერთაშორისო პროლეტარულ ჰიმნად იქცა; ჰოდა, თქვენც ადექით და ამ ხიმღერის კოლექტიური შესწავლა მოაწყვეთ.

ივნისი ჩაივლის და ახლა ივლისი გადაგაფურცლინებთ თავის კალენდარს: 6 ივლისი საზღვაო და სამდინარო ფლოტის დღეა; 20 ივლისი — მეტალურგისა, 21 ივლისი — ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში — ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე; მისალოცი ბარათები გაუგზავნეთ ამ რესპუბლიკების პიონერებს, გამართეთ მეგობრობის ზეიმი, „სსრ კავშირის დღე რაზმეულში", ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო.

8 აგვისტო რკინიგზელის დღეა, 9 აგვისტო ფიზკულტურელის, 10 კი მშენებლისა; ზაფხულის კალენდარი სხვა საინტერესო ღონისძიებების ჩატარებასაც გიკარნახებთ. თანაც, თქვენი ყველა ზეიმის, საინტერესო დღის მონაწილე იქნება მზე, რომელიც უკვე 62 წელიწადია (პიონერთა ბანაკების შექმნის დღიდან) „მეგზურობს" და დღემდე მოყვება საბჭოთა ბავშვების ზაფხულის ცხოვრებას, პიონერთა საკავშირო მარშის სვლა-გეზებით გეხმარებათ „ზაფხული-86" სიმაღლის დაძლევაში.

მზემ საზაფხულო საცნობებით ისიც აღრიანად გადმოგცათ, თქვენს დასვენებაზე როგორ ზრუნავენ უფროსები, ყველა, ვისაც ზაფხულში თქვენი დასვენების საკითხები ეხება; რამოდენა თანხა იხარჯება იმისათვის, რომ თქვენთვის ზაფხულის თვეები ბედნიერი და მხიარული, ხალისიანი და საინტერესო იყოს.

„კოცონის" სახელზე გამოგზავნილ ბარათებში სხვადასხვანაირ შეკითხვებს წავაწყდით: ერთნი გვთხოვენ — ბანაკში პირველად მივდივართ, გვირჩიეთ, ჩასვლისას რა გავაკეთოთო... გვიკარნახეთ საინტერესო საქმეებიო. მეორენი, უკვე გამოცდილნი, გვწერენ — მოგვბეზრდა ერთიდაიგივეს გამეორება, გვინდა, არაჩვეულებრივი რამ მოვიფიქროთო... მესამენი გვთხოვენ, გავაცნოთ სხვების გამოცდილება.

...ბანაკის ყველა კუთხეში ჩაიხედავს მზე, გაგყვებათ ლაშქრობებზე, მასთან ერთად შემოივლით კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს, ცხვარიჭამიას პიონერთა ბანაკების უდიდეს ქალაქ „ცისკარს", აჭარისა და აფხაზეთის შავიზღვისპირეთს, სადაც მარტო ჩვენი რესპუბლიკის კი არა, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული პიონერები ატარებენ ზაფხულს. თქვენს გვერდით მისი ყოფნა ბევრ მეგობარს შეგძენთ, რომელთაც გამოცდილებას გაუზიარებთ, ერთად გამართავთ მშვიდობისადმი მიძღვნილ ზეიმებს, მიტინგებს.

თქვენ ხომ იცით, ვისზეა დამოკიდებული ზაფხულში პიონერთა საინტერესო დასვენება? — თქვენზე, პიონერულ აქტივისტებზე. მათზე, ვინც ბანაკში შექმნილი პიონერული აქტივის სწავლების სკოლის მუშაობაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ზაფხულის ბოლოს „კოცონის" სახელზე გამოგზავნილ ბარათებში კი გვიამბეთ, რა ისწავლეთ, რა შეიტყვეთ, რა წაიკითხეთ. თუ მოიფიქრეთ ან თუ მოახერხეთ თქვენი ცოდნის სხვისთვის გადაცემა, რა საქმეშ გაგიტაცათ? რა შეიტყვეთ, უბის წიგნაკში რა ჩაინიშნეთ, რომელი სკოლის პიონერთა გამოცდილება მოგეწონათ და... ჩვენც გვიკარნახეთ მათი მისამართები; აგვისტოს ბოლოს, ჯერ კიდევ პირველი სექტემბრის ზარის აწკრიალებამდე, მიაკითხეთ სკოლას, უფროს პიონერხელმძღვანელს, გააცანით თქვენი ზაფხულის შთაბეჭდილებები, გაუზიარეთ სამომავლო გეგმები.

ნათელა ფაილოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაში — სპორტული თამაში

## ცოტა რამ შაშის შესახებ

შაშის თამაშს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. არქეოლოგიური გათხრებისას ეგვიპტეში აღმოჩნდა ხუთი ათასი წლის წინათ ქვაზე ამოკვეთილი 64-უჯრიანი შაშის ერთმანეთზე მიწყობილი ქვები. ეტყობა, რომ ფარაონთა ხანაში შაშის თამაშითაც ერთობოდნენ.

ყირიმში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვლისა და მინისაგან დამზადებული შაშის ქვები, რომლებიც IV-V საუკუნეებს მიეკუთვნება. ამ დროისათვის შაშს იცნობდნენ რუსეთის დასავლეთ ნაწილში. იგი აქ რომიდან შემოუტანიათ სლავ ვაჭრებს. თანამედროვე რუსული შაშის სათავე მე-10 საუკუნის კიევშია. ეს თამაში კონსტანტინოპოლიდან შემოუტანია და გაუვრცელებია რუსეთის სამთავროს ერთ-ერთი პირველი მთავრის, იგორის მეუღლეს ოლგას.

64-უჯრიან დაფაზე თამაშის წესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. გარდა რუსულისა, არსებობს ფრანგული, ინგლისური, იტალიური, ჰოლანდიური, ესპანური, პოლონური, თურქული შაში. კანადაში გავრცელებულია 144-უჯრიანი შაში (30-30 ქვა).

ფრანგების ინიციატივით მსოფლიოში შემოღებულია 100-უჯრიანი შაში (20-20 ქვა). შეიქმნა შაშის საერთაშორისო ფედერაცია. შაშის თამაშმა ფართო აღიარება ჰპოვა. ტარდება მსოფლიო, ევროპისა და ცალკეული ქვეყნების როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობები.

1984 წელს პირველად ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. ჩემპიონი გახდა ფრანგი ი. ვეისი.

შაშს თამაშობდა კარლ მარქსი. ამ თამაშით გატაცებული იყვნენ ჩარლზ დარვინი და ლევ ტოლსტოი. პეტრე დიდი თავის 459-ე ბრძანებაში წერდა, „მას, ვინც არ იცის შაშის თამაში, არ შეუძლია გახდეს სენატის წევრიო".

1827 წელს შაშზე პირველი თეორიული წიგნი გამოსცა პეტროვმა. მასში მოცემული იყო სამი მარბიელით („დამკით") ერთი მარბიელის დაჭერის ხერხი (ამ ხერხს დღესაც „პეტროვის სამკუთხედი" ეწოდება).

როდესაც ერთხელ დიდ მოჭადრაკეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ე. ლასკერს ჰკითხეს, თუ რით განასხვავებდა შაშსა და ჭადრაკს ერთმანეთისაგან, მან უპასუხა: „შაშის თამაში ჭადრაკის თამაშზე ძნელია, ხოლო ჭადრაკის თამაში შაშის თამაშზე რთულიაო".

1924 წელს პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა 64-უჯრიან დაფაზე. ჩემპიონი გახდა მოსკოველი ოსტატი ვ. მედკოვი.

**ვლადიმერ კანდელაკი,**
ოსტატობის კანდიდატი.

### მინის ხიდი

მინის ოსტატებით განთქმული ულამაზესი ვენეცია მალე ახალ ღირშესანიშნაობას მიიღებს. ძველი ხის ე. წ. აკადემიური ხიდის ნაცვლად დიდ არხზე აიგება 70 მ სიგრძის მინის ხიდი. ფოლადისა მას მხოლოდ საყრდენი რკალები ექნება, სხვა ყველაფერი — საფეხურები, მოაჯირები, ფენილი განსაკუთრებით გამძლე მინისა.

### „საკერებელი" ფუძიამაზე

მთა ფუძიამას, იაპონიის ამ ეროვნულ სიამაყეს, ეროზიით გამოწვეული საფრთხე დაემუქრა. უკანასკნელი ათი საუკუნის მანძილზე მეწყერებმა და ზვავებმა იგი იმდენად დააზიანეს, რომ ახლა მთიდან ყოველწლიურად 300 ათას ტონამდე მიწა და კლდის ნაშალი ქანები ცვივა, რაც ამ მთვლემარე გოლიათის უზადო კონუსის დეფორმირებას იწვევს. ყველაზე საშიშია 90 მ სიღრმისა და 640 მ სიგანის ნაპრალი. პრობლემით შეშფოთებულმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ თუ დროულად არ იქნება მიღებული სათანადო ღონისძიებები, 3776 მ სიმაღლის ფუძიამა უახლოეს ას წელიწადში ორად დაიშლება. ჯერჯერობით გადაწყვეტილია მთაზე „საკერებლის" დადება. ეს არის ფუძიამას სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე აღმართული 8 მ სიგანის და 5 მ სიმაღლის ბეტონის მასიური კედელი, რომელიც დაფარავს ყველაზე ღრმა ნაპრალს. ამასთან კედელი არც თვალში უნდა ეცეს ადამიანს და მან არც პეიზაჟი უნდა დაამახინჯოს. ბეტონში გამოიყენება მთის ფერდობებზე აგროვებული ღორღი.




### კბილებს სპილოც კი იხეხავს

სპილო ყოველდღიურად 140 კილოგრამამდე სხვადასხვა მწვანე საკვებს მიირთმევს. ამგვარი სამუშაო საკმაოდ აზიანებს გიგანტის კბილებს, ცვეთავს მათ. უნდა ითქვას, რომ სპილო ძალზე უფრთხილდება საკუთარ კბილებს. 26 კბილიდან იგი ერთდროულად მხოლოდ 8 ტვირთავს.

იქ, სადაც სპილოები ადამიანის სიახლოვეს ბინადრობენ და სასარგებლო სამუშაოს ასრულებენ, მათ რეგულარულად უხეხავენ კბილებს. ამას ყველგან სხვადასხვანაირად აკეთებენ. შრი ლანკაში მაგალითად, სპილოს კბილების გასაწმენდად ქოქოსის კაკლის ნაჭუჭს ხმარობენ. არ დაგავიწყდეთ, რომ სპილოს თითო კბილი აგურის ტოლია.



# საინტერესო სიახლენი

### შეწყვილებული საბურავი

თუ სატვირთო ავტომანქანას ასეთი საბურავებით აღვჭურვავთ, გაიზრდება მისი ტვირთამწეობა და შემცირდება დაწოლა ნიადაგზე. მაგრამ გამოადგება თუ არა შეწყვილებული საბურავი მსუბუქ ავტომობილს? გამოირკვა, რომ კი, გამოადგება:



იზრდება მოძრაობის უსაფრთხოება, კერძოდ, უმჯობესდება მართვის ხარისხი, მკვეთრად მოკლდება სამუხრუჭე გზის სიგრძეც. გარდა ამისა, ერთმა საბურავმა თუ დაუშვა, გზის გაგრძელება მეორით შეგიძლიათ.

### უცნაური ბენზინი

რუმინელმა მეცნიერებმა უცნაური გზით მიიღეს ბენზინი. ჯერ მათ ნახერხისაგან გამოჰყვეს ხის სპირტი — მეთანოლი, შემდეგ იგი განსაკუთრებულ ქიმიურ რეაქტორში, მაღალი ტემპერატურის პირობებში დამალეს და მისგან ბენზინი გამოაცალკევეს.

ახალი რეაქტორის მარგი ქმედების კოეფიციენტი 50%-ია, რაც მსოფლიო მასშტაბით საუკეთესო მაჩვენებელია. ფრიად მაღალხარისხოვანია ახალი ბენზინიც.

### მტვირთავ-ძალოსანი

ერთმა შვედურმა ფირმამ ააგო და გამოსცადა ახალი ავტომტვირთავი, რომელსაც თავისი ჩანგლიანი სატაცით 80 ტონა ტვირთის აწევა შეუძლია. ეს მანქანა ამ ტიპის მექანიზმებს შორის, როგორც ჩანს, ყველაზე მძლავრია მსოფლიოში.

ავტომტვირთავის დიზელის ძრავას სიმძლავრე 396 კილოვატია (532 ც. ძ.). მანქანას შეუძლია ტვირთი ასწიოს 3,3 მეტრ სიმაღლეზე და წაიღოს იგი საათში 24 კმ-ის სიჩქარით. მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში მანქანის წონა 163 ტონას აღწევს, მაგრამ ნიადაგზე თვლების დაწოლის სიდიდე 5,5 კგ/სმ$^2$-ს არ აღემატება. კაბინას თავისი „ლიფტი" აქვს, რომელსაც შეუძლია ასწიოს იგი 7,4 მეტრ სიმაღლეზე. კაბინაში დამონტაჟებული ტელემონიტორის საშუალებით მძღოლი კარგად ხედავს სამანევრო ტერიტორიას. თუ ეს ვერ მოხერხდა, მძღოლს შეუძლია გამოვიდეს კაბინიდან და დისტანციურად მართოს მანქანა.





# სარჩევი


კატია ლიჩევას სამშვიდობო მისია (წერილი) გარეკ. . 2
თ. ცაგარელი— ექსპედიციის გზებით (წერილი) . . . . 1
ა. იმედიძე — ცხვრის ბინაში (მოთხრობა) . . . . . 3
ნ. ხარაზიშვილი — იქნებ ეს მოწოდებაა? (ნარკვევი) . . 10
იუმორესკა . . . . . . . . . . . . 13
ა. აბულაშვილი — ლექსები . . . . . . . 14
ვ. ხორნაული — ერთგული ბიჭი (ლექსი) . . . . . 14
მ. გელაშვილი — შეფობის წახნაგები (ნარკვევი) . . . 15
ჯ. ნიქაბაძე — ჩემი თანაკლასელი (პოემა) . . . . 17
აისი . . . . . . . . . . . . . . 19
ი. ტალიაშვილი — ოპიზის მთვარე (მოთხრობა) . . . 24
სიმღერა საქართველოზე (მუსიკალური ნოტი) . . . 28
რ. თაგორი — ნიჩბები და იალქანი (ზღაპარი) . . . 29
კოცონი . . . . . . . . . . . . . 30
ვ. კანდელაკი — შაში საინტერესო თამაშია (წერილი) . . 31
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . 31
საინტერესო სიახლენი . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკანის . 3



გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თემურ ფხაკაძისა



მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 24. 04. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 06. 86 წ., ქაღალდის ფორმატი $60\times90\,^{1}/_{3}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1047, ტირაჟი 160.000. ეგზ., უე 04690.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60\times90\,^{1}/_{3}$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 160.000 экз. Цена 20 коп.



© „პიონერი", 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## თავსატეხი

ნანა იოსელიანი

გამოიცანი, რომელი დროშა რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის.



## მეტაგრამები

პირველი სიტყვის მოძებნა
ძალზე ადვილი იქნება:
უბორბლო საზიდარია,
რომელიც ხისგან ითლება,
შუა თანხმოვნის გამოცვლა
თუკი არ გაგიჭირდება,
ისიც ხისაგან თლილია,
ოღონდ ლობისთვის გვჭირდება.

●

ზოგჯერ ბურთი მოხვედრია,
არ გასულა გოლი,
კარის ჩარჩოს ხარიხაა,
მიგახვედრე მგონი.
შეუცვალე თანხმოვანი
პირველივე რიგით. —
თორმეტი ძმა რომ ჩაივლის,
დამთავრდება იგი.

## შარადა

უხნავი მინდვრის სახელი
გაგახსენდება ხელად,
ბალახი მოსძალებია
და ზურმუხტივით ელავს.
თუკი ანბანის დასაწყის
ასოს დაურთავ თავში,
ბგერათა ჰარმონიული
ნაერთი გახლავს მაშინ.

შ. ამირანაშვილი

## გამოცანები

აწრაფია,
როგორც ცხენი,
გამძლე, ვით
სახედარი.
არც დედის, არცა მამის
არ გააჩნია გვარი.

●

გამოცნობა, დამერწმუნეთ,
არცთუ ისე ძნელია:
მთელ ქვეყანას ტანზე
აცმევს,
თვითონ ტანშიშველია.

ნ. მარიხია

შეხე, ურქო და უკუდო
კამეჩი მოდის ცალად,
მიწას ბელტებად აბრუნებს,
შესწევს დევგმირის ძალა.
მერე მინდვრიდან ბუბუნით
თავის ფარეხში მივა.
სულ სხვაა მისი საგზალი,
არ ჭამს ბზესა და თივას.

შ. შოთაძე

## ანაგრამები

პირველი მრგვალი რიცხვია,
ათ საუკუნეს იტევს,
ხოლო ბგერებს თუ გადასვამ,
სხვა სახელს ილებ კიდევ.

●

ჯერ დღის დასაწყისი
გაიხსენე, გიგი,
მერე სიტყვის ბგერებს
შეუცვალე რიგი. —
ძველებური სიგრძის
საზომია იგი.

●

ქუხილის მაცნედ ზეცაში
კადატყდა ელვის ისარი,
ცეცხლი რომ ჩამოვარდება,
საძიებელი ის არი;
რომელ სიტყვაშიც ადგილი
თანხმოვან ბგერებს ეცვლება.
ის სიმებს აგიხმიანებს,
თუ მოსასმენად გეცლება.

## პასუხი № 5-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### თავსატეხი



### კროსვორდი

თარაზულად: 3. კაბინეტი; 4. წერეთელი; 8. დაფდაფი; 9. რეფორმა; 13. ფანდური; 15. მადრიდი; 16. მაქმანი; 17. ანანური; 21. ქვითარი; 22. ვენეცია; 23. კაპრონი; 26. ტალანტი; 27. ანატოლია; 28. მერინოსი.

შვეულად: 1. ლეგენდა; 2. არტერია; 5. კომიტეტი; 6. კომფორტი; 7. ბედაური; 10. მერქანი; 11. ბარნოვი; 12. მდინარე; 14. ასტურია; 18. აველანჟი; 19. ათინათი; 20. გენერალი; 24. სტაფილო; 25. მინდორი.

### გამოცანები

შეშა, ცეცხლი,
ნაცარი;
ღუზა; წლის დრონი;
ჩექმა და ლურსმნები

### შარადა

ზვიგენი

### მეტაგრამები

ვარდი, იარდი,
ბარი, ბალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარაველა 1985

ზვიგენზე ნადირობა.

მიშიკო ამბოკაძე,

თბილისი, 54-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.

